

3199/907
642



საბჭოთავ ბერლინის 1976

1976 10

ქრისტიანული ზამთრისთვის

შინაარსი

წარმართება, პასუხისმგებლობა ნიკოზ ნიკოლაშვილის იუბილე (100)	2
ლილია თაბუკაშვილი — ნიკოზ ნიკოლაშვილი	3
ელენე ამაშუკელი — დიდი გოგონა	20
ირაკლი ონიანური — ქართული მანდაგების ფუძემდებელი	21
იაკობ ნიკოლაძე — ბარბელისთვის "შესახებ"	22
მიხეილ ულიანოვი — პატრიის გული	24
ახალგაზრდა მხატვართა ზამთრისთვის	31
ვაჟა ძიგუა — ეფიმიერ მალაღამოვი	32
გივი ორბელიანი — ქართული მუსიკის დემონსტრაცია	40
ახალგაზრდული სემინარია	51
გივი ბოჭუაძე — კომპიუტერული და ქართული მრავალფეროვნების სა- კითხები	52
დემეტრი შოსტაკოვიჩი — ოსტატობა და ხელისნეობა	61
ოლეგ სავიციანოვი — თეატრული დემონსტრაციის შესახებ ზამთრისთვის ლინიზირებული	63
თენგიზ მახარაშვილი — არქიტექტორი და ბარბელის დაცვა-გაჯანსაღება	67
ძმები გოგონები — „დღეობი“ (ფრაგმენტები)	70
ლადო გუდიაშვილი — მომავლისთვის შინა	81
როსტომ ბეგანიშვილი — ხელისნეობის კომპიუტერული	86
არტურ შილერი — ყველა ჩემი შვილი	90
ქრისტიანული	113

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სამხატვრო-მეცნიერული ჯიხვი

თავმჯდომარე
მუსიკის
მხატვრობის
კლასიკური
არქიტექტურის
კატეგორიის
კანდიდატი

მთავარი რედაქტორი:
თამაზ პილაძე
სამხატვრო-მეცნიერული კოლეგია:
საკვი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუჯუა თეთრაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ბაბუნია,
მანუჩ კვიციანი,
ნოდარ მალაღამოვი,
ზურაბ ნიხაძე,
გივი ორბელიანი,
ნათელა ურუხაძე,
რევაზ ჩხიძე,
ანდრე ვულუკაძე,
ნიკო ჯანაშვილი,
ნოდარ ჯანაშვილი.

წარმატებას, პასუხისმგებლობას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ არა მარტო დიდი მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტია, რომლის თვალსაზრისითაც და შემოქმედების რადიკალიზაცია კავშირის ყველა კუთხეს სწავდება, არამედ იგი ადამიანური გულისხმიერებისა და მხარდაჭერის ტუმბო-რიტი ფაქტია.

ეს დადგენილება, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სიხარულთან ერთად, იწვევს პასუხისმგებლობის გრძობას, რადგანაც თვითონ არის მაღალი პასუხისმგებლობის, საქმისადმი ნამდვილი დამოკიდებულების უტყუარი საბუთი.

არ ყოფილა არც ერთი ნიუანსი ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის სტილისა, რომელიც შემჩნეული და ღირსეულად დაფასებული არ იყოს ამ დოკუმენტში, მარტო შემჩნეული და დაფასებული კი არა, არამედ, როგორც ეს „პრავდის“ 6 ივლისის მოწინავეში დაეინახეთ — ყველასათვის სამაგალითოდ არ იყოს მიჩნეული!

ადამიანს ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად მხარდაჭერა ღირსება. ადამიანი ერთი შეხედვით სუსტია, თითქოს სანთელივით სულის ერთი შეხერხვით გაქრება, ლერწამივით გადატყდება, მაგრამ, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს, „მართალია, ის ლერწამია, მაგრამ ლერწამია მოაზროვნე“.

აზროვნება — აი, რა არის ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე. აზრის სიხუსტე, აზრის თანადროულობა, აზრის სიცხიველე, აზრი — მახვილი სინათლისა, აი რა გასაღად ამ ბოლო წლებში ჩვენი შემოქმედებითი ძალისხმევის საფუძველთა საფუძველი.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებასა და შრომით საქმიანობას ორი, პარალელური ძლიერი ფაქტორი განსაზღვრავს: ეს არის ნეგატიური მოვლენების დაგრობის, ამოძიერის პათოსი და განაწმენის, აღმშენებლობის, ახლის დამკვიდრების პათოსი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ ბოლო წლების მანძილზე მოხდა, არის ადამიანთა საქმიანი ურთიერთობის

ბის თვისობრივი ცვლილება, იგი უფრო აქტიური და ქმედითი გახდა. ეს კი გამოიწვია საქმისადმი პირადი პასუხისმგებლობის გაზრდამ, შემოქმედებითი ინიციატივის წახალისებამ, კადრების მეცნიერულმა შერჩევამ და განაწილებამ, აგრეთვე ყოველი მოქალაქის წინადადებისა თუ შენიშვნის დროულმა შესწავლამ, და, რაც მთავარია, ყურადღებამ თვითეული ადამიანის ბედის მიმართ.

ღენინი მიუთითებდა ბიუროკრატების მრავალსახეობასა და ქაშველუნისებურ ბუნებაზე. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში განჩნდა „პირადი ერთგულების, ნათესაური და მგობრული ურთიერთობის ნიშნით“ დაწინაურებული ბიუროკრატის ტიპი, ეს იყო ცინიკოსი ბიუროკრატის ტიპი. ცინიზმი კი პირველი სიმპტომაა ადამიანის სულიერი ერთობის.

ცინიზმი გაჩენისთანავე ზნეობრივ ჯებირებს უტევს და ადვილად ეუფლება სუსტი ნებისყოფის ადამიანის სულს. ცინიზმი, როცა მას ხელს არ უშლიან, სწრაფად ვრცელდება, ცდილობს დაიპყროს და გაანაწავოს ის სფეროები, სადაც ყველაზე აქტიური, პოტენციური მოწინააღმდეგეები ეგულება. თუ გავიხსენებთ პროტექციონიზმის, რეპეტიტორობის, მამამებლობის, მექრთამეობის შემთხვევებს, დაინახავთ, თუ რა მიმდებარება მოუყენებია მას ჩვენთვის.

სწორედ იმ პერიოდში ჩვენში წარმოიშვა ახალი ტერმინი — „დიდი კაცის“, რომელმაც, მიუხედავად აბსურდულობისა, ძალზე ფართო გავრცელება პოვა. აბსურდულობის იმიტომ, რომ „დიდი კაცის“ ვებადით ყველას, ვისაც რაიმე თანამდებობა გჭირა, მანქანა ჰქონდა და ვიწვედაც ასე თუ ისე დამოკიდებული იყო განსაზღვრული რაოდენობის ადამიანთა ბედი. ეს ტერმინი ჩვენს წარმოდგენაში უნებურ შიშსაც კი იწვევდა, იმდენად ზღაპრული იდეალებით იყო მოცული. დიდი კაცი იყო ტრესტის მმართველი, გამომცემლობის დირექტორი, მინისტრი ხომ დიდი იყო და დიდი!

დიდი კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალით, — რამოდენა ტრაგედიაა ჩაქსოვილი ხალხის ამ ძველისძველ სიტყვებში და ეს ტრაგედია ზოგიერთ დაწესებულებაში ჯერ

...ჩვენი მწერლები, მხატვრები და მასწავლებლები არიან, რომ ისინი ცდილობენ მხარი დაუჭიროონ ალამიანის საუკეთესო თვისებას, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, გრძობების სიღრმეს, და ამატან ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური წინაშე ურთიერთ პრინციპობით.

ლ. ო. ბრემენიძე

საკვ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება საკვ. X XV ყრილობას.

1976 წლის 24 თებერვალი.

კიდევ გუშინ ჩვენს თვალწინ ხელახლა თამაშდებოდა. დადგა დრო, როდესაც უნდა გავიხსენოთ და აღვადგინოთ ხალხის მსახურის კეთილშობილური ცნება, გავიხსენოთ ბრძნული სიტყვები: „ღე, თქვენს შორის უკეთესი იყო თქვენი მსახური!“ დადგენილებაში ვკითხვობთ: „საჭიროა ბრძოლა ბიუროკრატისმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა მოთხოვნებისა და საჭიროებათა უგულებელყოფის არსებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ“.

როგორც ჩანს, ჩვენი დაუღალავი მეცადინეობის მიუხედავად, ყველაფერი ეს ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, არც არასდროს დაგვიკარგებია, ბიუროკრატისმს ადვილად რომ მივერეოდით.

თუ კარგად დავკვირდებით, დავინახავთ, რომ იმ ცინიკოს ბიუროკრატს სახე უცვლია, საქმიანი იერი მიუღია. ამჟამად ეს გახლავთ ბიუროკრატ ანტიბიუროკრატული მანერებით, მაგრამ მას ერთი ისეთი სენი ჭირს, რომელიც უცებ ამქადავებს მის ნამდვილ რაობას — ეს არის გულგრილობა. ის ყოველი გადამწყვეტი მომენტის დროს გვერდზე დგება, პასუხისმგებლობას თავს არიდებს, ხელს იხანს, მოკლედ, ეს არის ბიუროკრატ — პილატე, რომელსაც უნდა ცხოვრებისეული უპირატესობა ჰქონდეს ისე, რომ თითქმის არაფერი გააკეთოს, უფრო სწორად — ყველაფერი გააკეთოს სხვისი ხელით.

ალბათ ეს პიროვნება თავიდან კეთილსინდისიერი იყო. მაგრამ დღეს შეიძლება კეთილსინდისიერი იყო და მაინც ბიუროკრატობამდე მიხვიდეს, იმიტომ, რომ ცარიელი კეთილსინდისიერება აბსტრაქტული ცნება ხდება, თუ არ არის დაკავშირებული საქმის ცოდნასთან და რწმენასთან. თავისთავად, კეთილსინდისიერება, პატიოსნება პროფესია არ არის. ეს პიროვნება ბიუროკრატ გახდა იმიტომ, რომ არ იყო, როგორც ამხანაგმა ლ. ო. ბრემენმა პარტიის X XV ყრილობაზე თქვა: „ცოდნის, მრწამსისა და პრაქტიკული მოქმედების შენადნობი“. ე. ო. ცოდნა, პრაქტიკული უნარი და მრწამსი ანუ სუფთა სინდისი — აი სამი აუცილებელი ელემენტი, რომელთა ნაერთიც ვკადლევს ჩვენი საქმიანობისათვის შესაფერი მუშაკის ტიპს. სიამოვნებით უნდა აღვინიშნოთ, რომ ასეთი მუშაკები, მიუხედავად ძალიან ცოტა დროისა, ჩვენში უკვე აღიზარდნენ.

მენტი, რომელთა ნაერთიც ვკადლევს ჩვენი საქმიანობისათვის შესაფერი მუშაკის ტიპს. სიამოვნებით უნდა აღვინიშნოთ, რომ ასეთი მუშაკები, მიუხედავად ძალიან ცოტა დროისა, ჩვენში უკვე აღიზარდნენ.

ამას წინათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის გრეზაზე ითქვა: „რამდენი კარგი ღონისძიება მუშავდება, მაგრამ ძალზე ხშირად ყველაფერი ეს ქაღალტზე რჩებაო“.

ეს არის ღია რეალობასავით მტკივნეული ფრაზა, მაგრამ სიმართლეა და რადგან სიმართლეა, მთელი ჩვენი უნარი ამ მოვლენის დასაძლევად უნდა მივმართოთ.

ბიუროკრატისმი, პილატეს კომპლექსი, ყველაზე მეტად მიუღებელია ჩვენთვის, რომელთაც გვეერთიანებს საერთო ტვირთის, საერთო საქმის სიდიადის შეგრძობა, პირადი პასუხისმგებლობა საერთო საქმეზე, რომელიც თავისთავად აჩნს და ზრდის პირადი დანიშნულებისა და მნიშვნელობის, პირადი აუცილებლობის გრძობას, რაც თავის მხრივ, საფუძველია შემოქმედებითი შრომისა. შემოქმედებითი შრომა, შემოქმედებითი ინიციატივა არის სწორედ ის ზნეობრივი კატეგორია, რომელიც გულისხმობს არა იძულებით, არამედ გაასრულელ ქმედებას, გულისხმობს აგრეთვე გაასრულელ დისციპლინას, როგორც „შეგნებულ აუცილებლობას“.

„აღმიანი თავის ადვილას“ — ეს უწყვეტევი პრობლემა ახლაც ყველგან დღის წესრიგში დგას. წარმოიდგინეთ, როგორ აქტუალურია ეს პრობლემა ჩვენითვის, ჩვენი რესპუბლიკისთვის, სადაც წლების მანძილზე ცინიკოსმა ბიუროკრატისმმა კადრები თითქმის არარაობად აქცია.

ამ შემთხვევაში ვითარებას, რასაკვირველია, ცოტათი გამძაფრებელია ჩვენი მოვლენები, მაგრამ გულგრილობას ისევე გამძაფრება გვირჩევნია, მით უმეტეს, როცა ის სიმართლესა და მყარებელი. განა სიმართლე არ არის, რომ საერთო ცინიკური განწყობილების გამო, ახალგაზრდობას დაუუკარგეთ პატივისცემა მწერლობისა და ხელოვნებისა, ჩაუუარგეთ ცხოვრებაში მათი პრაქტიკული გამოუსადეგარობის რწმენა,

ჩვენ ბავშვები დაგვყავდა ყველგან: სტადიონზე, ცირკში, რეპეტიტორებთან, ზოობარკში, მაგრამ არ წავიციყვანა თვატ-ტრში, სიმპოზიური მუსიკის კონცერტზე, რაც, სხვათა შორის, არც ჩვენთვის იქნებოდა ზედმეტი. მთელი თაობები აღიზარდნენ ისე, რომ წიგნი არ უყალიბათ თავიანთი სურვილით.

შეუძლებელია სასოვაგადობისათვის სასარგებლო ადამიანად აღზარდოს ის, ვისაც ბავშვობაში ერთხელ მაინც არ დაუღვრია ცრემლი ობლის სიბინჯავით, მონადირის დაუნდობლობითა თუ პატარა ჩიტი-ჩოთრას საცოდაობით გულშემბრუს. ყოველნაირი გრძნობა — იქნება ეს ალტაცება, სიხარული, მწუხარება, თუ სევდა — მშვენიერია, რამდენადაც ხელს უწყობს ჩვენს არსებობაში ადამიანურის გამოაშკარავებას, ატყვევებას, განმტკიცებას. გვახსენდება ერთი ლექსი, რომელსაც საკულონი ესწავლობდით:

მარტოდ მარტა ობოლი,
ზის და ქვითინეს მწარედა.
მამა შინ არ პუას ნაწუღლას,
დაც გამოსულა გატოა.

მერ შვი მღვიმელის ეს ლექსი, ორთოდოქსი მეთოდისტების, ბიუროკრატების წყალობით, სახელმძღვანელოდან გაქრა, გაქრა იმიტომ, რომ სედაღანი იყო. კიდევ რამდენი ასეთი ლექსი ზოიღებს ან დაამახინჯეს, ისინი კი ბავშვებს სიბრალეულია და სათნოების ვრძნობას უღვივებდნენ, რომლის ნაკლებობასაც ასე უჩივიან დღეს.

და ახლა, როდესაც გვზარბა რომელიმე ბიუროკრატის გულგარლობა, მისი ვიწრო, თითქოს ფარული შემოხაზული თვალსაწიერი, მოიდასე გვაძრწუნებს ორთოდოქს მორხადმა მიერ ჩადენილი ბორკომოქმედება, აშკარა ხდება ჩვენი პედაგოგიური შეცდომა, რომლის შედეგად, სამწუხაროდ, მომავალშიც ალბათ ბერეკერ იქნეს თავი.

ინტელიგენტის ცნება, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მეცნიერულ-ტექნიკური რეოლუციის ეპოქაში, წარმოუდგენელია მაღალი წნეობისა და დისციპლინის გარეშე. ინტელიგენტი — ეს არის განათლებული პიროვნება, რომელმაც იცის რა შესანიშნავად თავისი საქმე, მოწოდებულია ეს ცოდნა მოახმაროს საერთო სულისკვეთებას. ამიტომაც დისციპლინას წნეობის ასპექტში განვიხილავთ, როგორც ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი, მის პოზიციას. ამავე დროს, ის არის პროფესიონალიზმის საფუძველი, სწორედ იმისა, რაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში ჯერჯერობით აშკარად გვაკლავია.

ბიუროკრატობში ჩვენი შემოქმედებითი კავშირების საქმიანობაში, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობა ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების დროს. ჩვენი შემოქმედებითი კავშირების სტრუქტურული მართლაც დიდსა და მტკად საჭირო სასოვაგადობრივ საქმიანობას ვწვევს, რაც კიდევაც აღინიშნა პარტულ დოკუმენტში, მაგრამ, რაც, ამავე დროს, სრულეობითაც არ ანთავისუფლებს მათ ზოგიერთი ნაკლოვანებისგან. კარგი იქნება, თუ ვიტყვიდით, რომ ეს პარტიული დოკუმენტი, რაც უნდა მეგობრული იყოს ის — ინდულგენცია, ანუ ცოდვების მიტე-

ვება არ გახლავთ. ამიტომ აღვნიშნავთ რა მათ უდავო დამსახურებას, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი შემოქმედებითი კავშირების, ჩვენი გამოქმედებების, ჩვენი ურთალებების, მათ შორის, — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ აშკარად ბიუროკრატულია, თუმცა არც იმის დაუნახობა შეიძლება, რომ ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე გონივრული ნაბიჯი გაიდაცა. აშკარად ბიუროკრატულია ის თეორია, რომელმაც რატომღაც მაგრად მოიკიდა ფეხი ჩვენს შემოქმედებით ორგანიზაციებში, თითქოს მწერლობასა და ხელოვნებაში საინტელექტუალ ახალგაზრდობა არ მოდიოდაც. ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. გადახედეთ ჩვენს ახალგაზრდა მწერნიერებს, მუსიკებს, საპორტმენებს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე შესანიშნავი შემოქმედი ახალგაზრდობა გვეყოლება, თუ გულთან უფრო ახლოს მივიტანთ მათთან მუშაობის საკითხს. უნიტობა თავებელია გრძელი ფეხები აქვს, თვითონ მოვა შენთან. სიცოცხლეს გაგიმწარებს, სანამ რაიმე არ გამოგტყუებს, ნიჭი კი მორიდებულია, მასთან თვითონ უნდა მივიდეთ, უნდა ეძებო, რადგან ის „ეროვნული სიმდიდრეა“. მას ისეთივე გულმოდგინე ბეჯითი ძეგბა უნდა, როგორც ჩვენი გეოლოგები ეძებენ ოქროს. ვინც ეტებს, ის იპოვის კიდევ „უძიებელ და პოვებელი“ — გვაწავლის ძველისძველი სიბრძნე, თეორიების შექმნა ადვილია, ნიჭის ძებნა, პოვნა და მოვლა კი — ძნელი. ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციები კატასტროფულიად იზრდება შემოხვევითი პიროვნებების ხარჯზე. ჩვენ ხელნის ვლით, თითქოსდა არ შეგვეცდოს რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ სინამდვილეში ეს არის ჩვენი გულგარლობის, პილატეს კომპლექსის, ბიუროკრატობის ბრალი და, რასაკვირველია, ჩვენი კრიტიკის უშედეგობისა და უშედეგობის ბრალი.

ჩვენი მსატერული ლიტერატურისა და ხელოვნების კრიტიკა დღეს არის ყველაზე უფრო ბიუროკრატული რგოლი ჩვენი საქმიანობისა. ჩვენი კრიტიკოსების ერთი ნაწილი მონდომებელია გაგვიცოს თავისი ცოდნით, ხოლო მეორე ნაწილი კი გვაკვირებს თავისი უცოდინარობით. თეოთრიკების უნარი ძველთაგანე ითვლებოდა ადამიანის ერთ-ერთ კეთილშობილურ თვისებად. თეოთრიკიკა და თავმდალობა — აი რა ანსხვავებთ ნამდვილად დიდ პიროვნებებს მედროვე, კარიერისტული ზნახვებით შეპყრობილი ადამიანებისგან. ჩვენი კრიტიკოსები ცოტა ხანს მინც თეოთრიკოსებად რომ გადაქცეულიყვნენ, ამით საერთო საქმე უსათუოდ მოიგებდა.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ ვერა და ვერ მიუახლოვა ჟურნალ ცხოვრებისეულ მოვლენებს, დღემდე ვერ შეძლო ორგანიზაცია ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების გაუცხოეთესო ძალებისა, ვერ შექმნა ავტორთა ძირითადი ბირთვი, რომელიც პუბლიცისტური სიმძაფრით გაამწვინდა ჩვენი ხელოვნების ყველა მხარეს. საჭიროა ჩვენებს ხელოვნებათმცოდნეება უფრო მეტი დაინტერესება გამოიჩინონ თანამედროვე ხელოვნების საკითხებისადმი, რადგან თუ ჩვენ აშკარა მიღწევები გვაქვს ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეში, რაც თავისთავად მტკად მნიშვნელოვანია, ძალიან დიდ სიძინელებს ვაწყდებით დღევანდელი ხელოვნების პრობლემების გადაჭრისას.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ნაკლოვანებებს განაპირობებს... კვალიციური კადრების ნაკლოვანება“. ჩვენს სასწავლებელს ამითვრებელ ახალგაზრდები, მომავალი ხელოვნებათმცოდნეები, რომლებსაც, მცირე გამოწავლისის ხელდა, არავინათრი საერთო არა აქვთ ხელოვნებასთან, დაბალია მათი განათლება და დონე. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკობს აღმზრდელთა სისუსტეზე, აშკარა ლობიბეგებაზე, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებამდე მივყავართ, ხელოვნებათმცოდნეების პასიურობის გამო მოუნებულა კრიტიკული აზრი. მაგალითად, კრიტიკის უმოქმედობის მიზეზის გამო აღმოჩნდა ასეთ მიმდინარეობაში, კერძოდ, ჩვენი ესტრადაც, საიდანაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში პროფინციალიზმის მღვრიე წყალი მოსჩქეფს. გახვითა „ლიტერატურულმა საკარტელომ“ სამართლიანად შეინიშნა, რომ ქართულ სასიმღერო ხელოვნებასთან არაფერი აქვს საერთო იმას, რასაც ზოგიერთი სასტარად კოლექტივი ქართული სიმღერის მართვით გვთავაზობს. არსად, არც ერთ რესპუბლიკაში ისე დაუდევრად, უხეშად, ბარბაროსულად არ ექცევიან სიმღერის ტექსტს, როგორც ჩვენში. პირდაპირ საყვირებელია ჩვენი საესტრადო მომღერლებს პოლიგლოტობა. საქმე რომ გაკავიყო, უნდა იცოდეს, რას აკეთებს და რისთვის აკეთებს. ცოდნა კი ბავშვობიდან იწყება, ბავშვობიდანვე უნდა გაეუღვივოთ ადამიანს ხელოვნების სიყვარული და ეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახსა და სკოლაში უნდა ხდებოდეს. აშკარად გადასახედა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საკითხიც. ჩვენს დღედაღამურ უამრავი მოზარდი სწავლობს მუსიკას, და ეს მეტად სასიამოვნო ფაქტი იქნებოდა, რომ ასეთ, ცოტა არ იყოს უცნაურ მოვლებსთან არ გვეჩინდეს საქმე: ჩვენი ბავშვების უმრავლესობა, თითქმის ყველა მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკრავს სწავლობს, მაშინ როცა ჩვენს რესპუბლიკას ასე ესაჭიროება სხვა პროფილის მუსიკოს-მემსრულებლები (ეს არაერთხელ აღინიშნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“).

ამრიგად, მუსიკისადმი ასეთი მოძალბა, სამწუხაროდ, უფრო ძვირფასი ნივთის, ამ შემთხვევაში ფორტეპიანოს, ბრმა თაყვანისცემით უნდა აიხსნას — ვიდრე მუსიკის სიყვარულით. ეს კი ცუდი მოდის, ცუდი წეს-ჩვეულებების გავლენით ხდება.

რუსთაველის თეატრმა პარტიის XXV ყრილობას უძღვნა საქმეცალი „დასაწყისი“. გეგმიანის პიესის მთავარი პირობლებმა — მუსაბაბომა გეგმის მსურველებსა და საქმის მამდილო ცითარების შორის — ჩვენთვის ჯერჯერობით გვხვდება.

ამას წინათ განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების თაოსნობით ჩატარდა თეატრალური ხელოვნების რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“. არავინ არ უღელდა, განსაკუთრებით კი ამ საქმის ორგანიზატორები, რომ ეს ერთი შეხედვით მართლაც კეთილშობილური წამოწყება ჩვენი მუშაობის უამრავ ნაკლს ამოატეცივებდა. ტოტს წვეტანეთ და ის ტოტი კი ნიაფის კუდი აღმოჩნდა. დავიანხეთ წლობით ხავსმოციდებულ ბეღტრილობა, არასწორად დაყენებული სწავლება, ხელოვნ-

ბისადმი ადგებული დამოციდებულება. გამოიშვეს კედლის გახვითები, დაარიგეს პირობები, მოუწყეს შეხვედრები მსახიობებს, დაესწინენ ერთ-ორ სექტაკლას და გაშველდნენ — სკოლა ცალკე. თეატრი — ცალკე! ყველა ელგდა, რომ გამოვიდოდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი და იტყოდა, დაუბერუნო ბავშვებს თავისუფალი დრო, თეატრი, საბავშვო წიგნები, ჯადოსნური ქვეყანა თამაშისა, მოკლედ, დაუბერუნოთ ბავშვებს ბავშვობაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ღონისძიება შესრულებულად ჩათვალეს. ეს კი პილატეს კომპლექსია, ბიუროკრატიაში.

ამ ღონისძიებამ დიდი პანიკა გამოიწვია, როგორც მოწაფეებს, ასევე მათ შობობლებსა და პედაგოგებში. საქმე ისაა, რომ მოწაფეებს დასაწერად მისცეს თეებები, რომლებიც დაკავშირებული იყო თეატრთან და ჩვენ ყველამ უცებ დავიანხეთ, როგორ დაუმორტივართ თურმე თეატრს, ხელოვნებას. ამ დროის, რასაკვირველია, ბავშვებზეც მეტად ჩვენ აღმოჩნდით დამნაშავენი, შობობები, პედაგოგები, რომლებიც წლების მანძილზე არ შევუღვართ თეატრში.

ეს პრობლემა უკავშირდება ბავშვისა და თავისუფალი დროის, ბავშვისა და ოჯახის, ბავშვისა და ხელოვნების პრობლემებს. და ისიც არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეს პრობლემა თავისი ანხით, თავისი პერსპექტივით პირდაპირ უკავშირდება პარტიის წესდებაში აღნიშნული „პარმონიული პიროვნების“ პრობლემას. ეს ისეთი ღონისძიებაა, რომელიც გაუმუდგენთ დღის წესრიგში უნდა იდგეს, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად უნდა იქცეს.

ამ ღონისძიებამ ამოატეცივა ჩვენს თეატრთან დაკავშირებული მრავალი მწვავე საკითხიც. უპირველეს ყოვლისა, თეატრის რეპერტუარის, ქართული დრამატურგიის საკითხი.

თეატრისა და ქართული მწერლობის, უფრო ზუსტად — თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთდამოციდებულების პრობლემა მუდამ გაუგებრობისა და უთანხმოების წყარო იქნება, სანამ გარკვევით არ განესაზღვრავთ როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის უფლებებსა და მოვალეობას. უსათუოდ ანგარიშგასაწყვეთი დრამატურგთა ჩივილი, რეცესორები თეატრის მიერ უკვე მიღებულ პიესებს მეტად თვითნებურად ექცივიანო. რეპერტორით თავს ასე იმართლებენ: ასე იმითრებ ვიქცივით, რომ პიესა უსუსტია, მაგრამ იდეურია და მოსი დადგმა თეატრს ამ ეტაპზე ჰიბრდება. საკვირველია, როგორ შეიძლება შევეუფოსით ეს ორი საპირისპირო ცნება — იდეურობა და სისუსტე — ერთმანეთს, მაგრამ, წარმოდგინეთ, ეს შეთავსება არც თუ ისე იშვიათად ხდება ჩვენში და არა მარტო თეატრში. ბევრი ორმანი, მოთხრობა, პოემა თუ ლექსი სწორედ ასეთი მარკით იბეჭდება ჩვენს პრესაში. უსუსტი, არამხატვრული პრიმიტიული სქემებითა და ხასიათებით შექმნილი ნაწარმოები, რომელ კანონსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს იგი, ვერასოდეს ვერ გახდება ნამდილოდ იდეური, ვერ შეძლებს იტივრობის დიდი საქმე, რომლის აღსასრულებლადაა თავიანდე გამოიხნული. პირიქით, შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღოთ. „ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ნაწარმოები ეძღვნება კარგ, აქტუალურ თემას, მაგრამ იქმნება შობაბეჭდილობა, რომ მხატ-

ვარი თავის ამოკვანძას ძალიან იოლად მიუღდა, — ამბობდა ამხანაგი თ. ი. ბრენევი პარტიის XXV ყრილობაზე. ასე რომ, სჯობს თავიდანვე პრინციპულუბი ვიყოთ და მეტი სიმტკიცე გამოვიჩინოთ ნაწარმოების შერჩევისას, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით ძნელია, ვიდრე მაკარტილი ტექსტის დაქვემდებარება. გავუმართობასა და ვითარებების საფუძვლიან უღრესად გამარტივებული დამოკიდებულება დრამატურგიის ცნებისადმი, რომელსაც თავისი პირველადი ღირსება და მნიშვნელობა დაეკარგეთ იმით, რომ ჯერ ერთი, დრამატურგიულ ნაწარმოებებს არ ვებეჭდათ და ამრიგად, რაც არ უნდა კურორისად მოგვეჩვენოს ეს, ჩვენი დრამატურგია, როგორც ლიტერატურული დარგი, დღეს აღარ არსებობს. მხოლოდ მწერალთა ყრილობაზე თუ მოვიხსენიებთ ზრდილობის გულისთვის ეს არის და ეს. ამის გარდა, ინცენზირებულ პროზაული ნაწარმოები პიესის დონეზე აიყვანეთ და თეატრისა და მწერლის ურთიერთგაგებობა მხოლოდ და მხოლოდ ამით შემოვფარვალეთ. აი, რას წერდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თეატრისადმი მიძღვნილ მოწინავეში: „თანდათანობით იქნებ დრამატურგებად ნოდარ დუმბაძე, რევაზ ჯაფარიძე, არჩილ სულაკაური... რომელთაც ფაქტიურად არც ერთი პიესა არ დაუწერიათ“. ნიაქციეთ ყურადღება — „არც ერთი პიესა არ დაუწერიათ“ და „დრამატურგებად იქნენ“. ეს რომ გაზეთის შეცდომა იყოს, კიდევ არაფერი, მაგარმ ეს შეცდომაზე უფრო დამაფიქრებელია, რადგან სამართლად და გამომკვეცმს დრამატურგიისადმი ჩვენი დამოკიდებულების უსუსტ სურათს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრების უმრავლესობა დღეს სწორედ ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი ნაწარმოებებით ითქვამს სულს, მიუხედავად იმისა, რომ არჩილ სულაკაურის „სალამურა“ წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრში, ამჟამად კი ასევე წარმატებით იდგმება ქუთაისის დრამატულ თეატრში, მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვიანა ჩვენი დრამატურგიის გამდიდრება, მაინც უნდა ითქვას: გამომდილებამ დავგანახავა, რომ ხელოვნური გამდიდრება თუ გაზვიადება, მოვლენათა ზერულ ანალიზი, რასაც წლების მანძილზე შეჩვეულნი ვიყავით ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, წარმოშობს სწორედ ნამდვილ სიღარიბეს. ამ ცნობილი მწერლების წარმატება ჩვენი პროზის გამარჯვება და არა დრამატურგიის. სჯობს, ყველა საკვანთ თავიდანვე თავისი ნამდვილი სახელი დავაჩქვათ და მხოლოდ ამის მერე განვიხილოთ იგი.

ცნობილია, რომ თეატრს ეროვნული დრამატურგიის გარეშე არსებობა არ შეუძლია. თეატრი უნდა იდგეს ამ საზოგადოებრივი ინტერესებისა და ვნებათა დღღვის ცენტრში, რომლითაც დღეს ჩვენი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკა ცხოვრობს. ჩვენ თეატრისგან მოვითხოვთ არა შეუძლებელს, არამედ სწორედ იმას, რისთვისაც მოწოდებულია იგი. ისევე, როგორც არსებობენ გრაფომანი ლიტერატორები, არსებობენ გრაფომანი თეატრებიც, რომლებიც დგამენ ყველაფერს ყუველგვარი პრინციპის გარეშე. ყველა ჩვენს თეატრს, მეტწილად, აქვს მიდრეკილება გრაფომანების თეატრს.

პიროვნების აღზრდა და ჩამოყალიბება არა მარტო სკოლის მეხრხიდან იწყება, არამედ თეატრიდანაც. თომას მანი ამბობ-

და: „თეატრი ბრძობს ხალხად გარდაქმნისო“. ახლა თითქმის ყველა ჩვენი თეატრი მაყურებლის სიმკირეს უჩივს. განა ჩვენ მართლა ასეთი ცუდი სპექტაკლები გვაქვს? რა თქმა უნდა, არა. თანაც, როგორც მოგვხსენებთ, ჩვენი რესპუბლიკა ტრადიციულად მაღალი თეატრალური კულტურის ქვეყნა ითვლება. მაშ, როგორ ხდება ასე? ასეთი ვითარების შექმნას უსათუოდ ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ჩვენსავე წიაღში გაჩენილმა უცხო და მავნე ტენდენციებმა, რომლებმაც, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წ. თებერვლის პლენუმზე შექმნას აღინიშნა, ღრმა კრილობები მიაყენა სწორედ ჩვენს სულს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მართლაც გვყავს რამდენიმე მეტად საინტერესო დრამატურგი, დრამატურგიის ჩამორჩენის მიზეზი მაინც პიესებში უნდა ვეძებოთ და არა რეჟისორთა შორის. ასე უფრო იმიტეტურები ვიქნებით, ასე უფრო გავარკვევთ საქმის ნამდვილ ვითარებას. იქნებ როგორც, ბოლოს და ბოლოს, შევლოდით ამ პიესებს, რომლებიც აგერ ათეული წლების მანძილზე ათასი ხერხით, ათასი ცდით, ათასი დარგვით, ათასი რეზოლუციით, არ იქნა და არ დაიდგა ჩვენი თეატრების სცენაზე. თუკი ამ პიესებს რაიმე ღირსება მართლაც გააჩნია, შოამომავლობა არ დაუკარგავს, ჩვენ კი, მოდი, დღევანდელ პრობლემებზე ვიფიქროთ, ახალ მოვლენებზე, ახალ გმირებზე, ჩვენს კრიტიკასაგით მარტო გუშინდელი დღით ცხოვრება არ შეიძლება.

ვერც ერთ ჩვენს თეატრს, ვერც კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიას ქართული პიესებისადმი უყურადღებობა ვერ დავაპრობებო. უფრო მეტიც, იმის შიშშია, რომ ქართული პიესებისადმი უყურადღებობა არ დადგაწამონო, იქამედ მიგვიყვანა, რომ ჩვენი სცენადამ გაქრა შექსპირი, ეს ნამდვილი „დონორი“ ქართული თეატრისა. (გან ლუი ბარი შექსპირს „ფრანგული თეატრის დონორს“ უწოდებდა). ეროვნულ დრამატურგიასთან ერთად, უფრო ფართოდ უნდა იქნას წარმოდგენილი მსოფლიო და საბჭოთა დრამატურგიის შედევრებიც, რომლებიც ჩვენს მაყურებელს საკაცობრიო კულტურის აზიარებდა. მეტი გულისხმობებით უნდა მოვეკიდოთ კლასიკას, ოღონდ ყოველთვის უნდა ვგახსოვდეს „ტელი ვოდეგანოსისა“ და „ხანუმას“ მწერალ გაკვეთილი. ამ სპექტაკლებში, რომლებიც ჩვენმა ორმა აკადემიურმა თეატრმა დადგა, იაფფასიანი კომიკური ელემენტები მიღწეული იყო ძირითადად მსახიობების მიერ ქართული ენის თითქმის ბარბაროსული დამახინების წყალობით.

სანდრო ამბეტელისა და კოტე მარჯანიშვილის მთელი შემოქმედება, მათ მიერ ციხე-კოშკით გატყვევებული ქართული თეატრი თავისი არსით პერსპექტიული იყო. ამბეტელმა და მარჯანიშვილმა შექმნეს თანამედროვე თეატრის ის სახეობა, რომელიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყო ცხოვრების დილაქტიკური განვითარების შესატყვისი ახალი ფორმების მისაღებად. ის დიდი პატივისცემა, რომლითაც ჩვენი ხალხი ამ ორი დიდი ხელოვანის სხვანას ინახავს, უსათუოდ სამართლიანია, მაგრამ პატივისცემა სხვადა კერძოაფყანისებმა კიდევ სულ სხვა. სწორედ კერძოაფყანისმცემლობასთანა გვაქვს საქმე, როცა ჩვენს შემოქმედებით პრაქტიკაში ვახდენთ მათი მშობობის

სტილის, მათი აღმოჩენებისა და მიგნების კანონიზაციას ე. ი. ვენიტი დოგმებს. ჩვენი თეატრმცოდნეების მიერ განაღებული დისკუსიების შემხედვარე უხებურად იფიქრებ: დღემდე ხომ არ გრძელდება ფარული, ოსტატურად, შენიღბული ბრძოლა მაჩრანევილისა და ახმეტელის მომხრეებს შორის, რომელთაც თავის დროზე ამ ორი დიდი რეჟისორის ხელოვნური დაბარისპირებები საგრძობი ზიანი მიაყენა ჩვენს თეატრს. დარწმუნებული ვართ, რომ მარჯანიშვილი და ახმეტელი დღეს პირველი გამოქმენილნი ჩვენი თეატრის ახალ ფორმას, სტენდ-აღი ამბობდა: „...იულიუს კეისარს გაცოცხლებდა რომ შესაძლებოდა, თავის არმიის უმაღლეს კვებებით შეაიარაღებდაო“. ამრიგად, ტრადიციის განვიხილება და არა დოგმები! სწორედ ამან, საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა რუსთაველის თეატრის ბოლო დროის გამარჯვებები. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ხელოვნება დაუსრულებელი მოძრაობაა, აღმოჩენების გაჭურვი რუქციაა, სადაც თვითული რგოლი თვისობრივად განსხვავდება მეორისაგან. ჩვენ მუხუშუმები კი არ გვიწინა, არამედ მოქმედი, ცოცხალი, აქტიური თეატრები—კულტურის მძლავრი საამქროები, სადაც ადამიანის სული ხელოვნების ცეცხლზე იწოთბა და ყალიბდება.

ვიყუთ ჩვენი დიდი მასწავლებლების — მარჯანიშვილისა და ახმეტელის, აგრეთვე ბვერი და ბვერი მუსანიშვილი მსახიობის არა მუდმივი შეგირდები, არამედ მათი საქმის ღირსეული გამგრძელებლები.

ხელოვნების ეს არის განუწყვეტელი სვლა მხოლოდ და მხოლოდ წინ და მაღლა.

წლების მანძილზე ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრებებიდან თითქმის უკავლოდ გაქრა დროული, ობიექტური რეჟეზია, ანალიტიკური ხასიათის სტატია, პრობლემური პუბლიცისტური ნარკვევი. ყველაფერი ის, რასაც, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა და ცოდნა ჭირდება.

ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაისუნება ალბათ ვერც ერთ შემთხვევას, რომ რუსთაველის ან სხვა პრემიაზე წაყენებული კანდიდატის მიმართ ჩვენს პრესაში თუნც ერთი კრიტიკული სიტყვა წაისკიდნოდეს ვინმეს. ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას თვითული კანდიდატი ისეთ სიმალღზე აპყავდა, ისეთ ზოგბას ასხამდა, რომ კანდიდატი კი არ ხდებოდა ღირსი პრემიისა, არამედ პრემია ხდებოდა უღირსი ასეთი „დიდი“ კანდიდატისა. ეს, რასაკვირველია, პროვინციალიზმის ბრალი იყო, რომელსაც, თავის მხრივ, ისევ ბიუროკრატისმამედ მივყავით.

ცნობილია, რომ ყველაზე მეტს ხმაურობს, უხნეო ბავშვივით ყველაზე მეტს მოითხოვს ის, ვინც ყველაზე ნაკლებად იმსახურებს რაიმეს. ჩვენს დიად ქარტიაში წერია: „ყველას თავისი შრომის მიხედვით“. ამის დავიწყება არ შეიძლება, რადგან ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპი ეს გახლავთ.

მწერლობა და ხელოვნება დიდი ძალაა და საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის მიერ სწორად წარმართულმა ამ ძალამ თავისი ცხოველყოფილობა დაამტკიცა კიდევ. სასიხარულოა, რომ ჩვენმა შრომამ ასეთი მაღალი შედეგები დაიმსახურა და ასე ხსავსამით აღინიშნა სკკპ ცენტ-

რალური კომიტეტის დადგენილებაში. კიდევ ერთხელ დავინახეთ პარტიისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთიანობა, კიდევ ერთხელ ვიგრძენით, რომ შემოქმედების აზრი, ჭეშმარიტი პოეზია ანსტრატულ იდუმალებაში კი არ არის, არამედ კონკრეტულ სათნობასა და გულისხმობებშია.


მაქსიმ-ლენინისთვის კლასიკოსების შრომებს, როცა ბოტეური ნაკაი, როცა ბოტეური მელოდია, გასდევს ცუნება პარმონიულ პიროვნებაზე, ახალ ადამიანზე. ამ ოცნებას, რომელიც თავისთავად ისტორიის ღრმა, მეცნიერული ანალიზისა და განჭვრეტის საფუძველზე იყო წარმოშობილი, დასრულებული იერი მიიღო სკკპ პროგრამაში, იქ, სადაც ადამიანის სულიერი სიმდიდრეცაა ლაპარაკი. პარტიის XXIV ყრილობაზე მივიღო სისხლით იყო დასმული, მეცნიერული მუხრნეობის უპირატესობის ორგანიული კავშირის პრობლემა. ამ კავშირს კი ანთორციელებს სწორედ ახალი ადამიანი, მუშა, კოლმურე, ინტელიგენტი, უკვე რეალური პარმონიული ადამიანი, ჩვენი დიდი მასწავლებლების ხორცშესხმული ოცნება — „ადამიანური ადამიანი“, ცენტრი ჩვენი საზოგადოებისა. იყო დრო, როცა პიროვნების ასეთ თვისებებს მწერლობა და ხელოვნება რომანტიკის სფეროში ეძებდა, მაგრამ დღევანდელმა დღემ დაგვანახა, რომ ეს თვისებები მან აქვე, ცხოვრებაში უნდა მოიძიოს. „ადამიანი არც მხეცია და არც ანგლოზი, — წერდა ბელინსკი, — ამიტომ მისი სიყვარული არც მხეცური უნდა იყოს და არც პლატონური, მას უნდა უყვარდეს ადამიანურად“. ეს ბრძნული სიტყვებია. ჩვენ ხელოვნებასა და ლიტერატურაში გვეჩივრება ნამდვილი ადამიანები და არა სქემები, ბუტაფორიები, რომელთაც მუშაპარული სახით ჩვენი ზოგიერთი მწერალი თუ ხელოვანი გვაწვდის.

ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ნოვატორული ძვრები თავის ასახვის ნოვატორულ ფორმებს მოითხოვს.

„მე ხელით კი არა, თავით ვწერო“ — ეს სიტყვები მიქელანჯლოს ეკუთვნის. გონიერება და გონიერება, აი რა გვეჩივრება ჩვენ. გვეჩივრება დინჯი, ღრმა, მეცნიერული განსჯა და გათვალისწინება ვითარებისა. ჰადრაკის ტერმინებს თუ მივმართავ — გვეჩივრება ვიჭირი არა ერთ ან ორ სჯილთა კომბინაციაზე, რაც უნდა ეფექტური იყოს ის, არამედ საჭადრაკო პარტიის საბოლოო შედეგზე.

სწორედ დღეს გვიწინა ვიფიქროთ ჩვენი ეროვნული საუნჯი — ხელოვნების მუხუშუმის რეკონსტრუქცია-აშენებაზე, მარჯანიშვილის თეატრის ახალ შენობაზე, რითაც თავისთავად გადაწყდება ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობის ბედი. დღ, ესენც შეგბავს ჩვენი მოწინავე წინგებს, რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე სპექტაკლებს, ქუთაისის სამხატვრო გალერეას, ქართული ხალხური ხელოვნების მუხუშუმს, იაკობ გავგაბაშვილის უკვდავ „დღეების“ ასი წლის იუბილეს, ცურტაველის გენიალური რომანის 1500 წლისთავს, ყველაფერ იმას, რაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათნობით გავეთდა და გავთვდა ჩვენი ეროვნული კულტურის შემდგომი აღმავლობისთვის.

100



იაკობ ნიკოლაძე

ლელია თაბუკაშვილი

თითქმის გარდუვალი იყო, რომ საუკუნეების მანძილზე დაღმეულ ქართულ ქანდაკებას, როგორც მიწაში დიდხანს და ღრმად ჩამარხულ თესს, ერთბაშად ამოფეთქა ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე და ასევე ერთბაშად, საოცრად პოეტური პლასტიკური ქმნილებებით შევსო მანამდე არსებული სიყარბული. ეს იმდენად გარდუვალობას არ ჰგავდა, რამდენადაც კანონზომიერებას: დროს, როცა ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ ოლია და აკაიო, ფლიანთილი და მარჯანიშვილი, მესხიშვილი და ფირსიმანაშვილი, ალბათ, უნდა წარმოგეზოა პლასტიკით მოაზროვნე დიდი ხელოვანიც, და ეს ხელოვანი გახლდათ იაკობ ნიკოლაძე. დიდი ხელოვანად იგი აქცია არა მარტო საქართველოს ვირტუოზულმა ფლობამ, — საჭრეთლისა თუ ფუნჯის ვირტუოზული ფლობა, როგორც ცნობილია, ყოველთვის არ განახლებრავს დიდი ხელოვნების დაბადებას, — არამედ ტექნიკურად ღრმა შემოქმედებითა ბუნებაში, ხალხსა ტალანტმა, რომელსაც ასაზრდოებს ადამიანის, ხალხის, კაცობრიობის სიყვარული და ეს სიყვარული აძლევს ზიძეს შემოქმედებითი ნიჭის ზრდას, აღვივებს შთაგონებას და წარმოსახვას.

იაკობ ნიკოლაძის მთელი ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფია ამ დიდი შთაგონების ძალით იკვავლება: ჯერ კიდევ მაშინ, როცა 11-12 წლის ბიჭუნა წიგნის მალაჩაიში (რომელიც მის უფროს ძმას ჰქონდა გახსნილი ბათუმში) ძმასთან ერთად საკმარისად და თან ხარბად ეწაფებოდა წიგნებს, ცნობობდა სურათების რეპროდუქციებს. შემდეგ, როცა ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დროს უმეტესად მოუხდა მუხვიერა მხატვრობასთან: როგორც მომავალ პროფესიონალ მექანიკოსს, მას უნდა ეხატა, მოელოდ იყო ცოდნობა ხატვა, იმდენად მაინც, რომ პროფესიის ათვისებაში გამოსდომოდა. მაგრამ აქ ხატვაში ვარჯიში კვლავ იქცა იმის ბიძგად, რომ იაკობს ეგრძნო შინაგანი მოწოდება, გაღვივებულაყო მასში ადრეულ ბავშვობაში ნაგრძნობი ინტერესი და სწრაფვა მხატვრობისადმი, ფერწერისადმი. ეს ინტერესი დაკავშირებული იყო მეორე (ასევე უფროს) ძმასთან, რომელმაც პირველმა შენიშნა იაკობის მხატვრული ნიჭი და, როგორც იაკობი იგონებდა, „ჩემთვის ყიდულობდა აკვარელის ფერებსა და ისეთ წიგნებს, რომლებიც მეზნაბობდნენ მხატვრობის შესწავლაში“.

სახელობის სასწავლებლის კურსდამთავრებული აქტივით აწყდებოდა მოსკოვს მიმგზავრება, მაგრამ ვერ ხვდებოდა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. იმედსა და დროს არ კარგავს — სტროგანოვის ტექნიკური ცენტრის სასწავლებელში სწავლობს. ორი წლის შემდეგ ესევე ხდის ბედს და ისევე უმედეგოდ. მაგრამ, მოსკოვი, თავისთავად, მისთვის უკვე სასწავლებელია — იაკობი ეცნობა რუსული სახვითი ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებებს და მასში კიდევ უფრო იზრდება რაღაც დიდის თქმის სურვილი, დიდის სავექმელად კი საჭირო ოსტატობის ადუქრვის სურვილიც. და, აი, ნიკოლაძე ოდესაშია. სამხატვრო სასწავლებელში პირველად ეცნობა იგი ძერწვის ხელოვნების საიდუმლოებებს. სულ ერთი წლის შემდეგ მშობლიურ ქუთაისში პირველ ნაბიჯებს დგამს ქანდაკებაში.

ქუთაისი მწყრალად შეხვდა უჩვეულ და უცნაური ხელოვნის ჭაბუკს. როგორც ოქახხდაცე იგონებდა, იმა გავრცელებულია — „ჩამოვიდა ვიღაც ბიკოლაძე, რომელიც თითაი ითასობდა და რაღაცა გაკეთება უსდაო“. „დღედაღივი სიყვანხს იქამდე, რომ იგი საბოლოოდ დარქუხუნდა იეს ფელილობანი“.

განგამი მალე დაცხრა. იგი შევკვალა გათყვამბა დაღატკეპმა. იაკობ ბიკოლაძის აიოველსაცე გათილუმება ცხოველი ყურადღეა ხიციყეა და მალაღი შეფსება დათაიყოუს, თაც სთავარია, იათ ხხიოდახ, ვია შეფსავისაცე მათოლაც დიდი ფსაი ჰყოდა: „ოო, ქართველივი შეგეყარებეხ თვევენ, ყოჩად ძალიან კარგია! — უთქვამს გიგო გათაფილს ახალგაზოდა ოქახხდაკისათვის, ოცა უხაზავს სთთა რუსთაველისი ფიგურა „„დღეგია ტაძარი““ გამათოულ გამიფყავაყ (1897).

უთოვლ იყო შემოქმედისთვის საერთოდ ძალზე ნიშანდოლივი თაი იმათი, რომ ბიკოლაძის პიოველივე ქმილიევიით თავიდახვე შეიკრა იღვერ-მხატვრული იტყოეკეაი-გარჯველი წოე, წოე, რომელიც გაფართოვდა, გათადა და იოშლიდახაც ახოზარდა დიდებული ქმილიებანი — დიდებული ჩინფიქერი, ქოთულ ეროხულ პლასტიკურ აზროვნებად რომ გახსხუნულა ქვეას თუ მარმარილოთ...
ჭაბუკ მოქანდაკეს, რომელიც პირველ მათევისა დგამს პლასტიკის რთულ ხელოვნებაში და თვითონვე კოვად გიძნობს საკუთარ შესაძლებლობათა შეზღუდულობას, არ ძალე რაუქცეს დიდ სურვილს — თითაში წარმოსახვის პირებული რუსთაველი. ძერწავს მის ფიგურას, ძერწავს პორტრეტს. ქუთაისშივე იბადება „მუსტიკოე“ — უბრალო ქართველი კაცის პოეტური განახიერება... ამ ქალაქში აფრტვებილადი მესხიშვილი არტიკული ცეცხლს, და ეს ცეცხლი, მასხიობის დიდი სცენური მომხმანველობა, ქოთათურთათვის საერთო ჯადოდ რომ იყო ქვეული, ბუნებრივად იმორჩილებს ჭაბუკ ხელოვანსაც: თითქოს ამ თავანისცემის ზოგადი გამოხატულებათაო, ნიკოლაძე შთაგონებით ძერწავს მესხიშვილის სხეს, თაედაპირველად ტარტიუფის როლში. ესეიზი, რომელიც მასხოთს ტარტიუფის როლში წარმოსახვდა, ნიკოლაძეს მესხიშვილისათვის ურქეებია, შემდეგ კი ნატურიდან ისი პორტრეტიც გამოქარწავს.

ახალგაზრდა მოქანდაკის ეს ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი უკვე იმ სიმაღლემდე აღმირდა, რომ სათავეწო მასხოობის პორტრეტის დასაკუთრება ბევრს მოსურვნებია, თუმცა თვითონ ავტორი მოგონებებში აღნიშნავს—ძალიან ნუნებო, რომ მაშინ ტექნიკურად დაოსტატებული არ ვიყავი და არც გამოცდილება მქონდა, ვერ გადმოვიევი ეს სილამაზე, როგორც ინდივიდუალური პორტრეტული სახე და როგორც ქართული ტიპი. მაინც, ლადო მესხიშვილის პორტრეტც მოქანდაკეს გაუმრავლებია, ათი ცალი ქუთაისშივე გაეცრელებულა. მესხიშვილი, ჩანს, თავის მხრივ, მოხმბული იყო ნიკოლაძით, მისი ბევრის აღმთქმელი ტალანტით. ამას მოწობის მასხოობის ფოტოსურათი, რომელიც იაკობისთვის ურქეებია გულთბილი წარწერით: „სიმათიურ ადამიანს, ნიჭიერ

მხატვარ-მოქანდაკეს, კეთილად მოსაგონებლად, ლადო ალექსი-მესხიშვილისაგან¹.

წარმატებები ფრთებს ასხამს ახალბედა მოქანდაკეს. დაოსტატების სურვილით იგი კვლავ უბრუნდება ოდესას სამხატვრო სასწავლებელს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხანს და-აყოფს აქ. უფროსი ძმა მათე — ფართოდ განათლებული კაცი, რომელიც კარგად ხედავს ძმის ნიჭს, მას პარიზს გა-სამგზავრებლად ამზადებს, ასწავლის ფრანგულ ენას.

და, აი, 1899 წლის შემოდგომაზე იაკობი პარიზს მიემ-გზავრება, დედამისი ძლივს ახერხებს ყოველთვიურად გაუ-გზავნოს შვილს მცირეოდენი საარსებო თანხა მანეთ. უკიდუ-რესი ხელმოკლეობის მიუხედავად, ნიკოლაძე არ უხვევს არჩეული გზიდან, იგი ყველაფერს იტანს მიზნის მისაღწე-ვად.

ხელოვნებას ორი მხარე აქვსო, — აღნიშნავს მოგონებებ-ში ნიკოლაძე, — თვითონ არტისტული შემოქმედება და ოს-ტატობაო. ოსტატობაში იგი გულისხმობს ხელობის ცოდნა-საც, — ტექნიკური ხერხების დაუფლებას. „ქანდაკებაში რა-მდენიმე ხელობის ცოდნაა საჭირო: ქვაზე მუშაობა, ბრინჯაო-ს ჩამოსხმა, რკინების მოღუნვა და ჩონჩხის გაკეთება“... ამიტომ, თავდაპირველად, პარიზში იგი სხვადასხვა ოსტატ-თან გულმოდგინედ სწავლობს მასალაში მუშაობას, ვარჯი-შობს ფერწერაშიც. ქართული თემა კვლავ ხორცს ისხამს მის

პირველსავე პარიზულ კმნილებებში. „მოხუც ხევსურში“ მო-ქანდაკეს სურს წარმოსახოს სულიერად ძლიერი ქართველი კაცის სახე, სახე იმისა, ვინც სამშობლოს ისტორიის ბედ-უკუღმართად დატრიალებულ ჩარხს უდრევს ძალას უპირა-სპირებდა და შრავლი განსაცდელიდან გამოსულა.

უცხო მიწაზე მშობლიური სახეებით შთაგონებულ ახალ-ბედა მოქანდაკეს საკუთარი ძალების რწმენას მატებს თანა-მემამულე, და ამ წახალისებასაც უთუოდ აქვს მიიშვნელობა: ალექსანდრე მრეკელიშვილი, რომელიც ამ დროს პარიზში სწავლობს (ქართული სინამდვილე ასაზრდოებს მის შემოქ-მედებასაც) დიდ ინტერესს და მეგობრულ ყურადღებას იჩენს უმცროსი კოლეგის შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ. ამას მადლიერებით იგონება ნიკოლაძე. და არა მარტო პროფე-სიული ინტერესები და საერთო შემოქმედებითი მრწამსი ახბ-ლოვდა ამ ორ თანამემამულეს უცხო მიწაზე, არამედ გაჭირ-ვეობის და ხელმოკლეობის ჭაპანის ერთად ზიდავაც.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ნიკოლაძე ისევ სამ-შობლოშია. როგორც მისი მეუღლის, ბრონისლავა გიორგის ასულ ნიკოლაძის მიერ ჩაწერილ „მოქანდაკის მოგონებებ-შია“ აღნიშნული („საბჭოთა საქართველო“, 1964), „იაკობი დაღალა გაჭირვებამ და ზრუნვამ იმაზე, თუ როგორ გაეტანა თავი უცხო ქალაქში, როგორ გაენაწილებია კაპიკები, რო-მელსაც ძლივს აწვდიდნენ სახლიდან“.



იაკო წერეთელი (1915)
ვაჟა-ფშაველა (1929)
გენატე ნინოშვილი (1911)
ილია ჭავჭავაძე (1938)
ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი. ფრაგმენტი



სამშობლოში, თბილისში დაბრუნებული ნიკოლაძე გატაცებით მუშაობს პორტრეტულ სახეებზე. „მოგონებები“ გვეყვადიან ცნობას იმაზეც, რომ აკაკი ხშირად სტუმრობდა იაკობის სახელოსნოს მოქანდაკის მუშაობის პროცესში. ეს იყო უდიდესი შთაგონება ახალგაზრდა ხელოვანისთვის, რომელიც გრძნობდა და ხედავდა საზოგადოებრივ ინტერესს, ერის სასიკადადულო შვილთა დიდ ინტერესს ქართულ სახეით ხელოვნებაში ახლადფუნქციონირებელი დარგისადმი¹. სწორედ პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ნატურიდან შეიქმნა მხატვარ ოსკარ შმერლინგის, ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე ქალის ტასო მარაბლის, კოტე მესხის, ვასო აბაშიძის, შიო არაგვისპირელის პორტრეტები. მუსიკალური სასწავლებლის დაკვეთით ასრულებს იაკობი ბახისა და ბეთპოფენის პორტრეტებს, მონაწილეობს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოთხმეტრიანი ბარელიეფური კომპოზიციებით გაფორმებაში. რაც უფრო მეტს მუშაობს, იაკობ ნიკოლაძე მით უფრო გრძნობს, რომ მის წინაშე ჯერ მხოლოდ იხსნება ქანდაკების



¹ უფრო გვიან, პარიზში ყოფნისას, როცა იაკობი ილიას ძეგლზე მუშაობდა, აკაკი (რომელიც ამ დროს თავისი ოჯახით პარიზში ცხოვრობდა) ხშირად ეწვეოდა ხოლმე იაკობის სახელოსნოს. მათ მეგობრული დამოკიდებულება და მიწერ-მოწერა ჰქონდათ.



ხელოვნების სირთულეები, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამის მი-
ღწევა, ჩაწვდომა, ათვისება, დაუფლებაა საჭირო. და იგი
ისევ სწავლავს ფიქრობს, ილტვის იხილის ადამიანის პლა-
სტიკური ნიჭიერების მწვერვალებზე, შეიცნოს ამ სასწაულთა
შემების საიდუმლოებანი...

1903 წელს იგი იტალიაში მიემგზავრება, ფლორენციაში
ცხოვრობს შვიდი თვის მანძილზე. იტალიაში ვერ ვნახე რომ-
ელიმე ისტატი, რომ მისკან ქანდაკება შემესწავლაო, —
„აღნიშნავს იგი თავის მოკონებაში „ერთი წელი როდენ-
თან“. მაგრამ მიქელანჯელოს და დონატელის იგი გაუოგნებია
ახალგაზრდა მოქანდაკე, რომ, როგორც წერს — „თითქოს
ხნრებით მოიჭრებდა სული და მიმაფრენდნენ თავიანთ გზებზე,
მე ვიფიქრე, რომ ეს ორი ისტატი ამწვეს და ისინი თანა გზაზე
გამაქანებენ, შეიძლება დავაგრო ჩემი ფეხები იხიაროს საშუა-
ლება, სჯობია მოვმორდე მიქელანჯელოს და დონატელის და
საკუთარი ფეხზე დავდგე-მეთქი“.

საკუთარ ფეხზე დადგომის დიდი სურვილი ჩანს აქვე
„ღნიშნულშიც: „1904 წელს, ფლორენციაში შვიდი თვის
ყოფნის შემდეგ მეორედ ჩავედი პარიზს, რადგან მომწუხრდა
როდენის ნახვა“.

„მომწუხრდა როდენის ნახვა“ — დამწვები მოქანდაკის
ან თითქოს სასხვათაშორისო ნათქვამში გამოსატყუია არა
მხოლოდ უბრალო სურვილი — ერთხელ კიდევ შეველო
თვალი გამოჩინული მოქანდაკის ქრონოლოგიასთვის, ესწავლა
მსკან, არამედ გაცილებინა მეტი, ის, რაც თვით ნიკოლაძის-
თვის, შესაძლოა, მამინ ერთგვარად შეუცნობელი იყო, მაგრამ
მოასწავებდა ვერაპოლ პლასტიკაში ახლადგაკვალი
გზების განცხინისა და ათვისებისკენ სწრაფებას. ნიკოლაძე,
ჩანს, შინაგანად ილტვოდა იქითკენ, რასაც მისი შემოქმედ-
ებითი ბუნება იჩიარებდა, რაც მას წყურდა, როგორც მხატ-
ვარს. ეს არ იყო უბრალო ზეგავლენა, რადკ თანამედროვე
სიასხის ზედაპირული ფეხსაცალია, ეს იყო პრინციპთა შევ-
ნობის სურვილი ხელოვანის მიერ, რომელსაც სახეითი საჭრა-
ნი ჯერჯერობით სათანადოდ ვერ მოემარჯვებინა ნაფიქრის
გამოსახატვად, მაგრამ გრძნობდა თუ რომელი გზებით სი-
არული გამოადგებოდა საკუთარი თავის, საკუთარი მხატვ-
რული ენის სათვისებლად. უთუოდ იყო შემოქმედისთვის რა-
ღაც მახლობელი და ღრმად გასაკვები იმაშიც, რომ ფლორე-
ნციაში მიქელანჯელოს ნაწარმოებთა შორის მასზე განსაკუ-
თრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მონებს.

„ფლორენციაში რომ ვიყავ, იქ შემიდგება სურათმა მომა-
წურაპი როდენი: ფლორენციაში არის დიდი ბაღი „კარდინი-
ბოლოლი“, პალაკო პიტის ბაღა, ალორინების ქსელშია
„მწვენელი, დიდი ხეებით დაბურული. ბაღში გაკეთებულია
ხელოვნური ვიგრიბი. ამ ვიგრიბში რომ შეგრძალებდით,
შუაში აუზია და აუზის გარშემო ოთხივე მხრივ ჩაყობებუ-
ლია ოთხი მარმარილოს ზოდი. ეს მიქელანჯელოს მონებია.
ეს მონები დაუმთავრებელია, მაგრამ ის დიდი და მწვეკლე სი-
ამოწყნება, რომელიც ამ ქანდაკებებმა მაგრძობინეს, მე არ
მიმიბადა არც ერთი იმ ქანდაკებისაგან... „შევიან სიციფლელ
ფიქრებს და ასე გგონიათ, ამ ნაწარმებიდან ცოცხალი ადამია-
ნი გამოვოა“...

„ეს რომ დავინახე, როდენი მომეხატრა, მეტი გაჩერება

ფლორენციაში აღარ შემიძლო. იმ წამიდან უკვე როდენსა
მიწაფე ვიყავი“.

დღეს სწოლიად გასაკვება, თუ ყველა ნაწარმოებიდან
რატომ ჰპოვა შემოქმედის სულში ამგვარი გამოძახილი მი-
ქელანჯელოს ამ ქმნილებებმა: ეს იყო თვით მიქელანჯელოს
„ერთქმედებაში ახალი პრინციპების გამყვანება, ან, იქნებ,
უფრო სწორად, აღინდელდებინა განსხვავებული მხატვრული
იდეის შესატყვისი ხორცშესხმა. გასაკვება, თუ ისტორიუ-
ლად რატომ იყო და არის გენიალური ისტატის ეს ქმნილ-
ებში შევასებული, როგორც დაუსრულებელი ნაწარმოებები.
თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ თვით
მიქელანჯელოს, შ.მ.ძლოა, ისინი არ მიაჩნდა ასეთად; რომ
საოქმედის გარეგნულ დაუსრულებლობაშია განცხადებული
სწორედ ამ ქმნილებათა მხატვრული აზრი.

დაუსრულებლად მიიჩნევს ნიკოლაძეც ამ მონებს, რომ-
ლებიც დიდმა ისტატმა პაპის იულიუს II-ის აკლამინსათის
ის გამოყვება, მაგრამ, როგორც ცნობილია, აქ აღარ დადგ-
მულა და მემკვიდრე მიქელანჯელოს სიკვდილის შემდეგ
ოსინი კოზიმო მედიჩის აჩუქა. მონათა ეს ფიგურები („წვე-
როსანი მონა“, „ახალგაზრდა მონა“, „ატლანტი“, „მონა გა-
მოღვების გამს“) ატლანტების სახით მოთავსებული იყო
წობლის ბაღის ხელოვნურ მღვიმეში, რომელსაც ისინი
1908 წლამდე ამკობდნენ. შემდეგ კი ფლორენციის აკადემია-
ში გადაიტანეს.

სწორედ ამ ბაღში იხილა ისინი ნიკოლაძემ. კლასიკურად
რაფინირებულ პლასტიკურ ქმნილებათა შემდეგ, რასაც თვა-
ლი შეგვიან ახალგაზრდა ხელოვანმა, მიქელანჯელოს ამ ნა-
წარმოებებს ვამს“) ატლანტების მშვიდი სილადით გასმო-
ცემა საჭრისის ჯადქირის მიერ აქ შეცვლილი იყო უჩვეულო
შინაგანი მითროლოვრებით, წამიერი მოძრაობის საოცარი
მეგრებით, რაც თავისებურად განსხვავდა ქანდაკებას
პლასტიკურ მოცულობებსა და ფორმებში. მოქანდაკის საჭ-
რელებმა მარმარილოს ზოდს თითქოს ჩაუტოვა საკუთარი
სიძვრევე და ძალი, წარმოაჩინა მისი ბუნებრივი „სხუელის“
ფაქტურული სიმწვინე, სინატყვე და დაემორჩილა იგი
ადამიანის განცდათა გადმოცემის ამოცანას. ორი მხატვრული
პრობლემა აქ ორგანულად შეერწყა ერთიერთს, ერთმანეთი
განაბრობდა და შედეგად — პლასტიკურად ახალი, მანამდე
უთქმელი აზრი დაიბადა. თითქოს უნდა გამოექცეს ქუქს
ადამიანი, განთავისუფლდეს შემოხრევი ძალისგან — ამგ-
ვარ შთაბეჭდილებას იწვევს „მონა გამოღვიძების გამს“. მი-
ქელანჯელომ, ჩანს, ბოლომდე თქვა ის, რის თქმასაც პი-
რებდა, ამიტომაც აღარ მიბრუნებია ამ ქმნილებებს, რომე-
ლთა შედარებით უჩვეულო ფორმამ ნაწარმოების მხატვრულა
დაუსრულებლობის ილუზია შექმნა.

არ არის გასაკვირი, რომ ნიკოლაძემაც ამგვარად აღიქვა
ეს ქმნილებები, თუმცა იგი იქვე აღიარებს, მათ ისეთი დი-
დი და მწვეკლე სიაშვენება მაგრძობინეს, რაც ადრე ერთი ქან-
დაკებისგან არ მიმიბადა. „ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს
შიც ცოცხალი ადამიანი არის და მობრუნებულია“.

აქ უკვე საყვებით გასაკვება როდენთან ასოციაცია და

როდნისაკენ ლტოლვა, რაც ამ ქანდაკებათა ხილვისას აღედრნა ნიკოლაძეს.

ოცდაათი წლით ადრე, იტალიაში ჩასული, ნიკოლაძის ნომავალი მასწავლებელი ოგიუსტ როდენი ასევე მოკადალბულია მიქელანჯელოთი. მეგობრისადმი მიწერილ თავის ერთ-ერთ წერიტში, ხანდახან სიბრძნის ქაშის რომ არის დაწერილი, იგი ამბობს: „მთელი ცხოვრების მანძილზე ვმერყეობდი პლასტიკის ორ უდიდეს ტენდენციას შორის — ფიდიასისა და მიქელანჯელოს კონსეფციათა შორის. ჩემთვის ამოწავალი იყო ანტიურობა, მაგრამ როცა იტალია მოვიმავალე, მამნივე მომავადოვა ფლორენციელმა ოსტატმა და ჩემი ქმნილებები უთუოდ ამ ვატაცებას მოწმობენ“.

მიქელანჯელოს კონსეფციით, რომელიც მასობლივი აღმოჩნდა როდენის შემოქმედებით ინდივიდუალობისათვის და იქცა ბიძად, რათა ხელოვანს საკუთარი კრედოსთვის მიეკვლია, ჩანს, ასეთივე იმპულსად იქცა ნიკოლაძისთვისაც, როცა მის როდენისაკენ გაუყრა გულმა.

ამ პერიოდისთვის ოგიუსტ როდენი უკვე დიდების მაღალ წიწვევალზე დგას. მისმა შემოქმედებამ სულ სხვა სივით გამაანათა XIX საკუნის მეორე ნახევრის კლასიციტურაკადემისტურ ქანდაკებაში. როდენისეულ სახეთა ჭეშმარიტად რეალისტური სიღრმე და შინაარსიანობა, ძირწვის ძალა და ესპრანსიულობა პლასტიკის შემდგომი განვითარების ახალი გზების გახსნის მარეუქმად იქცა. მანეს, დეგას, პიასაროს, რენუარის თანამედროვე, როდენი გულგრილი არ დარჩენილა ახალი მიმართულებისადმი. მისი ჩამოყალიბების ხანა დამთხვავა ფრანგული იმპრესიონიზმის დაბადებას და როდენისეულ პლასტიკაში ამან გაოცვეული გამოთხილი ჰპოვა. მისი ქმნილებები, რომლებიც დიდი შინაგანი ძალით, ადამიანურ განცდათა ჭეშმარიტი სიღრმითა და სილიადითა აღბეჭდილი, უფაჭიუსეი პლასტიკური ოსტატურის განსახიერებაა. როდენის შემოქმედებითი მრწამსი, მის „ანდერსი“ და ხელოვნებაზე გამოთქმულ სხვა შეხედულებებში რომ არის გამკლავებული, მოწმობს ამ დიდი ხელოვანის თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობას.

„ხელოვნება — გულწრფელობის შესანიშნავი გაკვეთილია“. — ეს რწმენა მკაფიო ზოლად გასდევს როდენის ნახარეგ შემოქმედების, მის ნაფიქრს სილამაშესა და ჭეშმარიტებაზე, ხელოვნების შინაარსის და ფორმის, მხატვრის მოწოდებასა და წმინდა სახით ხერხებზე.

პროფესიულ გზაზე ახლად ფეხმემდარი მოქანდაკე, იაკობ ნიკოლაძე დაჯერებული არჩევს მისამართს იმისა, ვისგანაც სურს ისწავლოს.

პარიზში რომიცი ათასამდე მოქანდაკე და ორი იმდენი მხატვარი, — წერს ნიკოლაძე. ხელოვნების დარგში რომ შენი პროფესიონ თავი გაიტანო, ეს მეტად ძნელი საქმეა.

სამუშაოს შიენის უშედეგო ცდებმა კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდა როდენი ნიკოლაძისთვის. ამასთან, როგორც ავითონ იგონებს, „ყოველი მხრიდან მუხუბროდნენ, როდენი უხეშა და მრისხანე, მისი დაკმაყოფილება არავის შეუძლია, ნამუშევარს არ მოგიწონებს, ფულსაც არ მოგცემს, შეურაცსყოფას მოგაყენებს და გამოიგისტურებენ“².

არსებობის წყაროს მოპოვებისა და როდენთან სწავლას

სურვილი კი ძალზე დიდი იყო. ნიკოლაძემ ისიც იცოდა — როდენს უმარეო შეგვეთა ჰქონდა და თანაშემწე მოქანდაკეებით ხშირად უკმაყოფილო იყო. ამიტომაც ცცადა — პარიზელი მეგობრების დახმარებით და შუამდგომლობით თავისი სასმასხერი შეთავაზებინა როდენისთვის.

და, აი, დიდმა მოქანდაკემ ნიკოლაძე თავისთან იხმო. პარიზის ახლოს, ჭედონში, როდენის ვილასა და უხარზარატულიეში (რომელიც, ნიკოლაძის თქმით, უფრო მუზეუმს ჩამოგვადა) ნიკოლაძემ მოიპოვა, რასაც ეძებდა. მცხოვან ხელოვანსა და დამწყებ მოქანდაკეს შორის იმთავივე დამყარდა სრული შემოქმედებითი ურთიერთგაგება, — ორმხრივი კმაყოფილება დღის საფუძვლად მათ ერთობლივ მუშაობას მთელი წლის მანძილზე.

ნიკოლაძეს საკუთარი ძალის რწმენა შემატა იმან, რომ როდენი თანაშემწის მიერ განხორციელებულ ნამუშევრებს თავის გვარს აწერდა, ატელიეც კი ჩააბარა, რაც უდღეიან ნდობის გამოვლენებს ნიშნავდა და ბევრის წყდობის მოყრნე იაკობს შეეძლო პლასტიკური ხელოვნების ამ პატარა ტაბაში მაღალი ხელოვნების საოცარ საიდუმლოებებს ზიარებოდა.

„მინდა გიამბოთ ის განცდა, რომელიც მქონდა, როდესაც პირველად დავჩირი ატელიეში. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ პირველად დარჩენა თქვენს მიჯნურთან მარტო. მაგრამ არ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ თქვენ დარჩიო ბევრ მიჯნურთან ერთად. სულთან თუ შეუძლია ამის წარმოდგენა... ეს განცდა მქონდა მე იმ წამს. წარმოიდგინეთ, რომ ერთსა და იმავე დროს ამდენმა სიყვარულმა განგმირის თქენი გული...“

ნიკოლაძე ისეთი დავკირვებით, ისე ახლოს და გულდასმით ეცნობა როდენის შემოქმედებას, რომ იგი ნაოლად ამწნევის მის ევოლუციას, მისი ძიებების განვითარებას, ხელოვანის სხვადასხვა „პროფესს“ რომ წარმოქმნის. მოგონებებში ნიკოლაძე ერთ ადგილას იმასაც აღნიშნავს, რომ შემოქმედების მიერ ეტაკაზე როდენის მანერა „გადადის და უახლოვდება მიქელანჯელოს დაუშთავრებელი მონების მანერას“, „უახლოვდება იმ გამწვავებულ სიციფების ფთოქვას, რომელსაც ის ცდილობს მიაღწიოს თავის „არჩილიტებში“, თმცა კი არ ვიცი უსახავს თუ არა მას ეს მონებიო“.

თუ რადენ განცდაზე იყო როდენის შემოქმედებითი მრწამსი, მისი პრინციპები ნიკოლაძისთვის, ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს მოგონებების („ერთი წელი როდენთან“) იმ ნაწილში, რომელიც ეხება როდენის ესთეტიკას. ნიკოლაძე ბოლომდე იზიარებს დიდი ფრანგი მოქანდაკის ზოგად შეხედულებებს ხელოვანის ამოცანებზე, შემოქმედებით პროცესსა და ძიებების შინაშინამართულებას, მხატვრისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას და უმარეო იმ პრობლემაზე, რასაც იგი დიდი რეალისტური ხელოვნების საფუძვლად მიჩნევს. იგი ასოლუტურად ეთანხმება რო-

² მუშევარში, როცა ნიკოლაძეს შესაძლებლობა მიეცა ახლოს გაეცნობოდა დიდ მოქანდაკეს, იგი სრულიად საპირისპიროდ დარწმუნდა, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, როდენი ძალიან უკეთილი იყო და დამმარნე კი ხშირად მარმარილოს უფუქვებდნენო.



ნახრუხაძე (1944)

კონსტანტინე ლესელიძე (1947).



დენს იმაში, რომ „სადაც სილამაზეა, იქ არის ჭეშმარიტება“, რომ ეს ერთი და იგივეა. „ხელოვნებაში პრინციპია ერთია: ჭეშმარიტება. ვინც ამ პრინციპს გაიგებს, გზასაც იპოვის“. ნიკოლაძე მიტოვებულ ანობს როდენისეულ თვალსაზრისს და ვრცელ ამონაწერებს აკეთებს მისი წერილებიდან... „თქვენ გადმოიტანეთ, რასაც ბუნება გასწავლით, ბუნებას ენდობ, მაგრამ ამ ასლმა უნდა გაიართოს თქვენს გულში, მაშინ თქვენს ხელში თავისთავად დაიბადება ორიგინალი. ნიჭიერ არტისტს იგი დიდ ხელოვნად აქცევს... „თუ თქვენ ჭეშმარიტებას ეძებთ, ე. ი. ეძებთ სილამაზეს, რადგან ეს ერთი და იგივე საუნჯეა, ამით თქვენ ჰპოვებთ სიყვარულს. ჭეშმარიტების პოვნა არის დიდი, უძლიერესი სიხარული და როდესაც თქვენ გრძობთ დიდ სიხარულს, იმ წამს ყველა გიყვართ, ყველა ძვირფასია“.

ამონაწერები, რომელიც ნიკოლაძეს ამ მოგონებებში მოაქვს, დიდი ფრანგი მოქანდაკის ესთეტიკური შეხედულებების მხოლოდ მცირე ნაწილია. როდენისეული თვალსაზრისი მხატვრის შემოქმედებაზე იმდენად თანმიუეროა თვით ნიკოლაძის შინაგანი შემოქმედებითი მრწამსისთვის, რომ მას სურს მიტოვებული ფართო წრეებსაც გააცნოს ეს ესთეტიკა.

„აქ უსათუოდ უნდა წაგვიტოხოთ როდენის ერთი პატარა წერილი მხატვრული პრინციპების შესახებ: ბევრი ფიქრობს, თითქოს ნახატი მნიშვნელოვანია თავისთავად, თავის გარეგანი სახით. ხალხი ხშირად აღფრთოვანებას ეძლევა ისეთი პიზუბის ხილვით, რომელთაც ბუნებაში თქვენ ნამდვილად ვერ იხილავთ. ხალხი მუხლს იდრეკს იმის წინაშე, რასაც, ჩვეულებრივ, „ლაშაზ ყალბას“ უწოდებენ.“

ორივე თოახში შგეროვილი ნივთბობად ყველაზე საინტერესო
მაინც ახლობელი ლიტერატორების, ჩემი „სხვეწის“ მუდმივ სტუმ-
რების პორტრეტებია. ისინი ცალკე ვიტრინისა თავმოყრილი.

ეს პორტრეტები გადმოსახლია მათ მიერ დაწერილ იმ წიგნებ-
ზე, რომლებზეც ეგ ყველაზე მეტად მოწონს. ვიტრინში გამოწეო-
ბილი თითქმის ყველა წიგნი დაბეჭდილია საუცხოო ქვალღული და
საუკული მათგანი შვიცებს აგრეთვე ატორის ხელნაწერ ფურცელ-
საყ.

აი, ეს პორტრეტებიც:
ალფონს დოდე — ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1890) „სასოს“
გვგებმლარზე.

ზოლა — ზეთი, რაფაელის ნამუშევარი (1891) „მახეს“-ს გე-
ზეგმლარზე; ოდენე მატერიალღული, ნატურალიღული ზოლა.
ბანიკი — ზეთი, როგორის ნამუშევარი (1890) „ჩემი მოგო-
ნებები“ გვგებმლარზე, პორტრეტი საოცრად მიმგავსებელია ორი-
გინალს.

გოპე — ზეთი, რაფაელ კოლენის ნამუშევარი (1894), „მთელი
ახალგაზრდობის“ გვგებმლარზე; ედუეგერი პორტრეტი, პოეტის
სახე არ მტყვევებს, რომ ის სისამოვნო მოსაბურთა და აგრეთვე
ხემაარ.

გიუმისანი — დახატული რაფაელის მიერ, რბილი ფერადი
ფანჯრით (1890) რომან „პირიქით“-ის გვგებმლარზე, პორტრეტი
მშვენიერი კოლორებისა, შესრულბულია რელიეფური მანერით
და გადმოგვეცემს ნერვიული მწერლის ტანის ავადმყოფურ დაძაბუ-
ლობას.

მიზოი — როდენის კალმით ნახატი (1894) „სებასტიან რომის“
გვგებმლარზე; ორი პროფილი და ერთი ანფასი, რომელშიაც ჰვივის
მოქანდაკის სიმძაფრე.

რონი — უფროსი — მიტისის ნამუშევარი (1894) დაწერილი
მტკარა ჩინური ტუშით, „ოპობრანის“ გვგებმლარზე.

მაიგერტი — ზეთი, ბუშორის ნამუშევარი (1891) „ოთხივეს“
გვგებმლარზე.

როდენმახი — ზეთი, სტევენის ნამუშევარი (1891)
მილის სათემის“ გვგებმლარზე; პორტრეტი ცოცხლად
ცემს პოეტის ზემოაღრებულ სახეს.

გიუსტე ედუერტა — ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1890) „ჟერ-
ნაოსტის ჩანჭურების“ გვგებმლარზე; ეს პორტრეტი მუდგერია.

ენიკი — ზეთი, ენისის ნამუშევარი (1890) „ადამიანური ტისის“
გვგებმლარზე; საოცრად მიმგავსებელი და ისტატურად შეს-
რულბული.

ედუეკი — ზეთი, კერბანის ნამუშევარი (1890), „ჟენტერ-
ოფიერების“ გვგებმლარზე.

ერვი — ეფე ღანძის ავარტობი (1890) „საკაოარ თავზე“-ს გე-
ზეგმლარზე, რომელიც გადმოგვცემს, გვიცეს თაღების რბილ და
მელანქოლიურ გამოხედვას.

ერმანი — ფრანკის, ფანჯრით შესრულბული მონახანი, ოდ-
ენე მუდგერილი ავარტობით: „კალურ მიზრებს“ გვგებმლარზე შე-
საქევი მონახანი, რომელზეც გამოსახლენ მთავარწილი, დიდევე
ახალგაზრდა მწერალი გაანწნბულ კაცის კნეტს ვავს.

აქაელე — ზეთი კარიერის ნამუშევარი (1844). „სიყვარულ-
ში“-ს გვგებმლარზე.

ფრანკ ედუენი — ბენარის მიერ ჩინური ტუშით დახატულ
პორტრეტი. „ნახარზე“-ს გვგებმლარზე, მონახანი, რომლის გამ-
ბედაობა მტყვევებს დიდოსტატის ოქრის ხელზე.

როდი — ზეთი, რიენერის ნამუშევარი, შვეიცარიული მხატვრის
(1892) „რბოლა სიენილისკენ“-ის გვგებმლარზე.

ვან ლორენე — ზეთი, და განდაას ნამუშევარი (1894) „ის
ინც სტუდენს ნაქაწის“-ის გვგებმლარზე.

ტელუზ — ზეთი, მისი ძმის ედუარდ ტელუზის ნამუშევარი
(1890) „ზღვაში დაღუპულის“ გვგებმლარზე.

ბიუტრი — ზეთი, შერეს ნამუშევარი „უშომავლის“ გვგებმ-
ლარზე; ბრწუნადე კოლორების პორტრეტი.

კოლდენი პოლენი — მისი შვილის ავარტობი (1899) — „სიო-
ნეტების წიგნის“ გვგებმლარზე; დღიე ისტატობით შესრულბული
ავარტობი.

ბრაკონი — ავარტობი შესრულბული ავტოპორტრეტი (1890)
„ნახატზე და ფრზე“-ს გვგებმლარზე; პორტრეტი, რომელსაც
სტერის მეტოდის მხატვარმა თაქის თავი გრტეს ოდენად მიმგავსავს.

მიტესტე-ედუენსაკი — ზეთი, და განდაას ნამუშევარი (1893),
მშვენიერი წიგნის „ალმუტების“ გვგებმლარზე; პორტრეტი, რომე-
ლიც გადმოგვეცემს პოეტის სილუეტს და თაქის მოყვანილობას.

ქალბატონი დოდე — ზეთი, ტისის ნამუშევარი (1890) „პავ-
ევი და დედების“ გვგებმლარზე; პორტრეტი შესრულბულია ნა-
წი და რბილი მანერით.

პრინცესა მატოლა — დესის ავარტობი (1890); იმითაი ბრო-
შურის „ეთიო ძალის ისტორიის“ გვგებმლარზე; ეს მშვენიერი ავ-
ვარტობი სწორად გადმოსცემს პრინცესას სახვე ტურჩების კვილი
ღობის.

ედმონ დე გოკური — ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1892)
„ეგრისი დასერტეს“ გვგებმლარზე; გამოცემული ბილიოფილი გა-
ლობის სახსრებით, სამ გვგებმლარზე; ბრწუნადე პორტრეტი,
რომელზედაც ეკარგა მშვენიერად გადმოსცა მწერლის თვალების
რთხედვებლობა. უყანა პლანზე ჩანს ბრინჯაოს მედლიონი ეილის
პორტრეტით.

შენიშვნები:

- 1 მონიკარაფია „სოკუსნიში“—გონკერი უფრო დაწერილებით ავ-
ვიწერის ამ აბომოს.
- 2 ხიაბეტი — პაველი.
- 3 რარაჟე — რარაჟაჟე პიერ ლიტონის „ეგზოტიური რომანი“
(1882 წწ. გამოცემული იყო „ლიტის ქორწინების“ სახელწოდებით).
- 4 მირიან მე-13 ოლქში — პარაშში, სანამ 12 ოლქს კიდევ 7
ახალს მოუმატებდნენ. დედაქალაქში გაერცელა ზუმრობა იმ პი-
რებზე, რომლებიც უქორწინო კავშირში იმყოფებოდნენ. მათზე ამ-
ბობდნენ, რომ ისინი მე-13 ოლქში (არ არსებულ ოლქში) დაქორ-
წინდნენ.
- 5 თავი ჩამობრჩო ეყარა ღე ნერვალა—აქ ლანარაკო ეიულ დე
გონკურის ავარტულზე „ლანტერის ქუჩა“—ეყარა ღე ნერვალი
სიეთივეკლდობის შთაბეჭდილებით დახატულ ავარტულზე. (26 იან-
ვარი 1855).

ავალბერი ეანი (დ. 1863) — მწერალი.
 ბლანში ჯაქემილი (1861-1942) — მხატვარი და ლიტერატორი.
 ბარბე დ'ორევილი ეიული (1808-1889) — მწერალი.
 ბანელი ტეოდორ დე (1823-1891) — პოეტი და დრამატურგი.
 ბუფურასუა (1703-1770) — ფრანგი მხატვარი.
 ბუჩინაძე პარკიანი (1802-1828) — ინგლისელი მხატვარი ბონინგტონი.
 ბენარი — მხატვარი.
 ბენერტი ფილიპი (1830-1890) — კრიტიკოსი.
 ბრამონი ფელიქს (1833-1914) — მხატვარი, გრაფიკოსი.
 ბინგი სამუელი (1838-1905) — კოლექციონერი.
 ბრაუნი (ჯონ ლევი) (1829-1890) — მხატვარი ანიმალისტი.
 გიორგინაძე კორისკარი (1848-1907) — მწერალი.
 გრუჟინი ეანი (დაბ. 1510? გარდ. 1564-1568?) — მოქანდაკე და არქიტექტორი.
 გვარამია პოლ სიუღუბის — გიომ შველე (1804-1866) — მხატვარი და ლიოფრაფი.
 დიდი — წიგნებით მოვაჭრეთა და გამოცემულთა ოჯახი.
 დეკაილესიანი (1861-1949) — მწერალი.
 დალოზი პოლი (1829-1887) — ქურნალისტი.
 დელაროში პოლი (1797-1856) — მხატვარი.
 დიუტატი არმან-ლეონ-მიშელ (1810-1856) — ქურნალისტი.
 ენიკი ლეონ (1851-1935) — მხატვარი.
 ერეკე პოლი — (1857-1915) — მწერალი.
 ერმან ბეღ — (1862-1950) — მწერალი.
 ენგრი ეან-ოგიუსტ-დომინიკი (1780-1867) ცნობილი ფრანგი მხატვარი.
 ეატო ანტუან (1684-1721) — ფრანგი მხატვარი.
 ვილჟენი ფრანსუა (1790-1870) — ლიტერატურული კრიტიკოსი, აკადემიის წევრი.
 იოსაი — იაპონელი მხატვარი.
 კარბიერი უენე (1849-1906) — მხატვარი.
 კოლენი რაფაელ — (1850-1916) — მხატვარი.
 კურბუანი ფრანსუა (დ. 1865) — გრაფიკოსი.
 კარპო ეან-ბატისტ — (1827-1875) — მოქანდაკე.
 ლორენი ეან — (პოლ დივალი, 1815-1906) — ლიტერატორი.
 ლა ვანდარა — ანტონიო დ' (1862-1917) — მხატვარი.
 ლუმერტი ფრედერიკი — (1800-1876) — მსახიობი.
 ლუდრიუ-რადლენ ალექსანდრ-ოგიუსტ (1808-1874) — პოლიტიკოსი.
 ლატერი მორის კანტენ (1704-1778) — მხატვარი.
 მიმლუ-ეიული (1798-1874) — ისტორიკოსი.
 მიზო, ოქტავი (1850-1918) — მწერალი.
 მარკერიტი პოლი (1860-1918) — მწერალი.

მონტესკიუ-ფეხანსკი რობერ დე (1855-1921) — პოეტი.
 მესიონი ერნესტი (1815-1891) — მხატვარი და გრაფიკოსი.
 მენიე პოლენ — პოლენ ლეკონტი (1822-1899) — მსახიობი.
 მეიერბერი ჯაიომი (1791-1864) — კომპოზიტორი.
 მორო ვესტე (1826-1886) — მხატვარი.
 მარსილი ეოდოქს (1814-1890) — მხატვარი, მე-18 ს-ის მხატვრობის ნიმუშების კოლექციონერი.
 ნინი ჟიოვანი ბატისტა (1717-1786) — იტალიელი გრაფიკოსი.
 ნიკოლაი ფერარ დე (1808-1855) — მწერალი და პოეტი.
 ნიტისი ჯუზეპე დე (1846-1884) — იტალიელი მხატვარი.
 ორჩანდსონი უილიამი (1835-1910) — იტალიელი მხატვარი.
 პობლენი კლოდეს — (1825-1892) — პოეტი მხატვარი.
 პარმეზანი ჩინოლაზო მარია მაცეოლი (1504-1540) — იტალიელი მხატვარი.
 პუშე — ნატურალისტი.
 პრიმბერიო ფრანსესკო (1504-1570) — იტალიელი მხატვარი.
 ტერარდენი ემილი (1806-1881) — ლიტერატურული კრიტიკოსი და პუბლიცისტი.
 ტერდენი ფრანკ (1870-1935) — არქიტექტორი, მწერალი და კრიტიკოსი.
 ეანიო პიერ ფორე (1848) — მხატვარი.
 როდენმახი ფორე (1855-1898) — ბელგიელი მწერალი.
 როსი უელსონი (1833-1896) — ბელგიელი მხატვარი და გრაფიკოსი.
 როდი (1857-1910) — შვეიცარიელი რომანტიკოსი.
 რეინერი ლუი (1863-1924) — შვეიცარიელი მხატვარი.
 რენანი ერნესტ (1823-1892) — მწერალი და ფილოსოფოსი.
 რაფელი ეან-ფრანსუა (1850-1924) — მხატვარი.
 რინი ონორე ეფროსი (1856-1940) — მწერალი.
 რეინალი — მე-18 საუკუნის მხატვარი.
 სტეფანი ალფრედი (1828-1906) — ბელგიელი მხატვარი.
 სენტ-ბოენი გამრილდ — (1724-1780) — მხატვარი და გრაფიკოსი.
 ტისმო ჟიომი (1836-1902) — მხატვარი და გრაფიკოსი.
 ტუდუზი ელვარი 1848-1907) — ფანტური მხატვარი.
 უტამარი (1754-1797) — იაპონელი მხატვარი-გრაფიკოსი.
 ფორენი ეან-ლუი (1851-1932) — მხატვარი-გრაფიკოსი.
 ფრანკონარი-ონორე (1732-1806) — მხატვარი.
 შარბანტი ეერე (1805-1871) — გამოცემული.
 შარდენი ეან-ბატისტ სიმონ (1699-1773) — მხატვარი.
 შერე ეიული (დ. 1836) — ფერმწერი, ხატავდა ეთნოგრაფიულ ნიმუშებს.
 ხოუსეი (1760-1849) — იაპონელი მხატვარი.
 ხარონოზუ სუტუკი (1728-1770) — იაპონელი მხატვარი.
 ჰალვი ლუდოვიკი (1834-1908) — მწერალი.

ფრანგულიდან თარგმნეს
ჯ. გიორგაძემ და გ. ლოლაძემ

მობონებების წიგნი*

საქმისა, რამდენ რამეს ინახავს მუხსიურება! კარგი იქნებოდა, შთაბეჭდილებებს ადამიანი ყოველდღიურად თუ არა, ხშირად მაინც იწყერდეს. ჩანაწერების საშუალებით შემდგენი ადვილად აღადგენდა იგი ამა თუ იმ ამბავს, დღეს, საათს... ბევრ რამეზე გვწყდება გული... და მაინც, ზოგი რამ განვლილი დღეებიდან ისე გვაამახსოვრდება, თითქოს შორეულ წლებში კი არა, გუშინ ყოფილიყოს... გვაამახსოვრდება წუთი, რომელიც განგვიცდია, ხმა, რომელიც გვასმენია... ბევრი რამე სამუდამოდ ცოცხლობს ჩვენში და უჩინრად დაგვყვება.

გუშინ განცილდ ტკივილსავით დამამახსოვრდა დღე, როცა მარსელისკენ მიმავალ მატარებელში ჩავჯექი... გულში თითქოს რაღაც ძალიან მძიმედ ჩამწყდა. მენანებოდა პარიზთან გამოთხოვება... მე იგი ნამდვილი, დიდი სიყვარულით მიყვარს... მიყვარს მისი ხელოვნება, ხალხი... მიყვარს მისი ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ მუდამ სიცოცხლით სავსე ქუჩები... მისი დიდი, უნიკალური მუზეუმები, მემგობრები, რომლებიც მე იქ შევიძინე; მიყვარს იქ გატარებული წლები, მაგრამ უფრო ძლიერი იყო სამშობლოში დაბრუნების სურვილი. უსამშობლოდ დარჩენა, ბროლის კომკმიც რომ მეცხოვრა, მაინც ტრაგედია იყო... მე ვიყოლი, რომ ჩემს პატარა სამშობლოში იმ დროს ახალი ცხოვრება იწყებოდა. მე მელოდებოდნენ ნათესავეები, ახლობლები, მეგობრები... უდი-

დესი ინტერესი მიზიდავდა ახალი საქართველოსაკენ და ეს ფიქრი დანადგლიანებულ გულს მითობდა.

მატარებელი მარსელის სადგურში ჩამოვდა... იქიდან კი გემით გამოვემგზავრეთ. გემი ფრანგებისა იყო. მომსახურე პერსონალიც ფრანგები გახლდათ... ძალიან დამიასხოვრდა კაპიტანი. მთელი გზის მანძილზე მოხვდა:

— ისევ უკან უნდა წავიყვანოთ... მე ვიცი ქართველებს ამბავი, ხშირად მიმგზავრია მათთან, სადაც არ უნდა იყვნენ, გული მაინც მუდამ სამშობლოსაკენ მოუწევთ... ალბათ, თქვენც ასე ხართ, მაგრამ მაინც უკან უნდა დაგაბრუნოთ... მეღიმებოდა... ბოლოს და ბოლოს, მაინც გავუძელი მის იერიშებს და ვედარ დამიყოლია.

მახსოვს, როგორც ცხარული ვიგრძენი, როცა საქართველოს სანაპირო დაინახე. მზით განათებული შემოსვლა აჭარის მწყვეთ მთები... ხუთი წლის წინ მასთან განშორების სევდა და ტკივილი ახლა ისეთი სიხარულით მეცვლებოდა, რომ სუნთქვა შემიგრა... ალბათ, ამ ქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე სამშობლოში დაბრუნებაა. გემბანიდან დავინახე ჩემი ძმა ვახტანგი... იგი თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულიყო. წარმოუდგენელი განცდა დამეუფლა, როცა მშობლიურ მიწაზე დავადგი ფეხი, თითქოს ისევ ბავშვად ვიქცეი... მინდოდა ყველას გამოვალაპარაკებოდი. მიხაროდა ქართული სახეების დანახვა, ქართული საუბრის მოსმენა.

მამონ ფაიტონები იყო... (სხვათა შორის, ძალიან მიყვარდა ფაიტონები... სხვაგვარი კოლორიტი და სილამაზე ჰქონდა მათ...) ჩამწერებელი იდგნენ ნავსადგურში... ჩავჯექით, მაგრამ დაძვრისთანავე ბორბლი გატყდა... გადმოვი-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 5, 6, 7, 8, 9, 1976 წ.

და მეფეატიონე, მოტყვა ხის ტოტი, მოხარა, მიამაგრა თვლის მაგივრად და ასე, ხრიალ-ხრიალით წაეყვივანა... ამ შემთხვევასაც კი საიამოვნებთ ვიგონებ.

შემდეგ კი დაიწყო ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული და ძნელი პერიოდი. ჩამოსვლისთანავე, რა თქმა უნდა, სურათების გამოფენაც გაგმართე. რიცხვით ბევრი არ ყოფილა სურათები... სულ ოცი, თუ ოცდაათი... რის წამოღებაც შევძელი. ეს ჩემი ერთგვარი ანგარიში იყო, და, ცხადია, ვუღელავდი. როგორც ყოველთვის, — ადრეც, საფრანგეთში გამგზავრებამდეც, ახლაც მხარში მედგნენ ქართული მწერლები, მამნევეებდნენ, იმედით მავსებდნენ. გამოფენა საზოგადოებაში ინტენსივით მიიღო. დაიწყო რეკენზიები, გამოვიდა კატალოგიც, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ტიცინან ტაბიძის წერილი... განსაკუთრებით მიყვარს ეს წერილი... მასში ჩემთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობრის გულის ძეგრას ვგრძნობ...

საერთოდ კი გამოფენამ საკმაოდ ხმაური გამოიწვია. ზოგი მაქებდა, ზოგი მაძაგებდა. ეს რომ გაერცხლდეს, ახალგაზრდობას გზას აფურევით, — ამბობდნენ.

ეს იყო პერიოდი, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო ნელ-ნელა იგრება ძალას... განვითარებას იწყებდა სრულიად ახალი ხელოვნება. დაუსრულებელი ბრძოლა მიმდინარეობდა ძველსა და ახალს შორის. საერთოდ, ბევრი რამ იყო ამ პერიოდში გამოსარკვევი... სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა სოციალისტური რეაღონის პრინციპების დადგენა. იმართებოდა დისკუსიები და მსჯელობანი... ყოველივე ამის განხილვებისა და შეთვისებისათვის კი საჭირო

იყო დრო. ძალზე რთული იყო ეს პერიოდი პირადად ჩემთვის. მე მქონდა ჩემი სტილი, მანერა, ხასიათი, დაყრდნობის ფილკლორზე, მიზეზზე, ფრესკებზე, ხალხურ შემოქმედებაზე... ამიტომ გამიჭირდა... ვცდილობდი ჩავწვდომოდი ახალი ცხოვრების შინაარსს, მის რიტმს, გემნიდი სურათებს თანამედროვეობის თემაზე, ვმოგზაურობდი რაიონებში, დავდიოდი ქალაქის მშენებლობებზე, ვხატავდი ნატურდან, ვჭვდილობდი მშრომელ ადამიანებს... ყველაფერ ამას მე ვაკეთებდი გულწრფელად, ინტერესით... მაგრამ მიჭირდა, იოლად ვერ ვეუფლებოდი ვერც ახალ თემატიკას, ვერც სტილს... ვცდილობდი, თუ ფორმით არა, შინაარსით მაინც ამესახა ყოველივე ის, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ. ძნელია ამაზე ლაპარაკი... ხშირად მაკრიტიკებდნენ... სურათები, რომელთა გამო მაშინ ფორმალისტს მიწოდებდნენ, ახლა ხელოვნების მუზეუმების მუდმივ ექსპოზიციაში ჰკიდია და იგივე კრიტიკონები მათ სხვანაირი თვლით უყურებენ.

დრო, საერთოდ, ყველაფერს არკვევს, იგი სათანადო ადგილს უჩენს ყველას და ყველაფერს.


დავითი ძალიან განიცდიდა... უკვე ყველაფერი დამთავრდაო, ამზობდა... ალბათ, ამ განწყობილების ბრალი იყო, რომ ერთხელ, როცა სახლში მარტო დავრჩი, ერთბაშად გადავწყვიტე — თუ ყველაფერი მართლაც დამთავრდა, რაღად მინდა ეს სურათები-მეთქი და ღუმელში შევყარე... თექვსმეტი სურათი დავწვი... მათგან ერთადერთი, რომელიც ჩემმა მეუღლემ ოთახში შემოსვლისთანავე ღუმელიდან სასწრაფოდ გამოიღო, „ფერია რიწა“ — იყო. რამდენადაც შევძელი, შედეგ მე იგი აღვადგინე, მაგრამ ცეცხლის ნაკვალე-



ლ. გულიაშვილი.

ნადირობა.

ბორჯღი თჯახი.





ვი ახლაც აწინა... სხვადა სხოლმე ამგვარი რამ... ეს სათქმელადაც ძნელია, თორემ განცდა ხომ ნამდვილი სამწიფელაა. საერთოდ, იმ პერიოდშიც და შემდეგაც ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული.

ამ პერიოდს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან მილიანად შეცვალა მთელი ჩემი შემოქმედება, ყოველივე ის მტკივნეული და მწვავე იყო, რომ დღეს, როცა უკვე ის მოვონებები იწერება, არ იქნებოდა სამართლიანი, არაფერი ვთქვა მასზე. მართალია, ცხოვრებამ ავსა და კარგს, სამართლიანსა და უსამართლოს თავ-თავის აღგლით მიავსებდა, მაგრამ ამაზე მაინც საჭიროა ითქვას.

ზოგ-ზოგ კრიტიკოსს კი ვიღაც ხომ უნდა „დაემუშავენიან“. სხვათადაც არ შეეძლო... მაგრამ მე ჩემი გზის მკურდა და ასე იოლად არ ვთმობდი პოზიციებს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, გუდიაშვილს და კაკაბაძეს განზრახ არ სურთ ჩვენს პრინციპებს ყური ათხოვონ და ფორმალნიზმსაც უბიძგებენ ახალგაზრდებს (მაშინ ავადმუშავი ვასწავლიდი). ეს არ იყო სწორი. ჩვენ ჩვენს საქმიანობაში გულწრფელი ვიყავით და, მით უმეტეს, ახალგაზრდებთან ძალიან სასუთი დამოკიდებულება გიქონდა. ყოველივე ამას მე ახლა გულსიტყვილით ვიგონებ.

ასეთი შემთხვევებიც მასთვის: ზოგი მხატვარი, სასაგებო გულწრფელი მოწაღინებით მოდიოდა და მასწავლიდა — დაკლავილი ხაზებს ნუ აკეთებ... აი, ასე და ასე, სწორად დახატე და კარგად გამოივით. მაგრამ ვერაფერი მიშველეს, ცუდი მოწვევა გამოვდექი.

შემოქმედება ხომ რთული პროცესია. მისთვის არ არსებობს არც გამოვლენა წინასწარ გამოხატული რეკვიპები. მხატვრობა, ამავე დროს, ინდივიდუალური პროცესებია და ამიტომ მუდამ ფრთხილ, სათუთ დამოკიდებულებას ითხოვს. ნაკაბი აქ არ გამოვლენა. მეც და დავითსაც იმ დროს სხვაანაირი შეხედულებები გვექონდა მხატვრობის კანონებზე. ამიტომ ვაგვიკრიბდა. მათ ეკ უჩაგრებოდა. ხოლო სიჩქარეს კი, მოგესხენებთ, ხშირად ხალტურა მოსდევს, რაც ძალზე სასიფთაო და დამღუპველია, განსაკუთრებით „ხელოვნებაში“. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ორივენი ვაგვირიცხეს მხატვართა კავშირიდან... თქვენნაირი მხატვრები ჩვენ არ გვჭირდებათ. ახალგაზრდებსაც უშლიდნენ ჩვენთან სიახლოვეს... მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ყველაზე ვერ ვიტყვი. მაგალითად, მასსთვის ორმოციან წლებში (იმ დროსაც ასეთივე სიტუაცია გრძელდებოდა) „სოვეტსკაია კულტურაში“ დაიბეჭდა კავანის სტატია „გროტესკის მახვილი“, სადაც ძალიან მაქებდა... ამ პერიოდში ჩემზე ასეთი წერილის გამოქვეყნება, ცოტა არ იყოს, ავტორისათვის რამდენად გასტყვებდა... ასევე, საქუბარი რეჟისორები გამოაქვეყნეს უზურსკაიამ, ტუჩენპოლდამ, მიხაილოვამ... ისინიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე იდგნენ და კარგად ხელდასდნენ, რომ ჩვენ ფორმალისტები ვი ვიყავით. ესმდათ ხელოვნების პრინციპები... ამ რეჟისორების მიზანი იყო შექმნელობითი ჩვენს მიმართ გამართული ბრძოლის სიმწვავე, ყოველივე ეს კი პირდაპირ მე იმდენ მინერავდა... მჯერადა, რომ თანდათან რაღაც სხივი გამოათავებდა... დავითი კი ყველაფერს ბევრად მწვავედ განიცდიდა...

— შენ ნულარ გგონია, რომ რაიმე კარგს ვაკეთებ, ან მოგეფერებინა... ყველაფერი ვთავადაო — ამბობდა...

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩემი კრიტიკის ქაშის, დავაში მთავრობა არ ჩარეულა. პირიქით, ზოგჯერ მავალიდობდნენ

კიდევც... მიღებული მაქვს ორი ლენინის ორდენი, მედლები, სიგელები, მაძლობები... ქართული ხელოვნების პირველი დარსება კალაპე მოსკოვში საპატიო ნიშნის ორდენი მომცეს, მაგრამ კრიტიკოსები ამას მაინც არ აქვეყედნენ ყურადღებას და ძალიან ენერგიულად მიტყვედნენ.

საერთოდ, არ შეიძლება შემოქმედი არ ავლევდებინა შრომის იმ დიდ პათოსს, რომელიც იმ დროს ჩვენს რესპუბლიკაში სუფილდა. ინგროდა ძველი ქობინაბები, გაყავადო გზები, აგებდნენ ხიდეებს, ელსადგურებს, ჰესებს, მიწის გულიდან ამოქინდდათ საუკუნეების მანძილზე დაფარული სიმდიდრე... იმორჩილებდნენ მიუბეს... მინდორში გუვუნებდა პირველი ტრაქტორები და ადამიანები განათებული, იმდენი თვალებით შეპყრებდნენ მოზავებს... ეს ყოველივე ნამდვილად დიდი წიგნის, დიდი ნაყოფიერი ნაწარმოების, შთაგონებული სურათების თემა იყო... მე მანიტრებიც გადაყველივე ეს... ვედილობდი ჩავეწვდომოდი მის არსს, მის საწყისებს, მართკ იმიტომ კი არა, რომ ამას კრიტიკოსები მხოლოდნენ... დრო მოითხოვდა ამას...

მხატვართა კავშირი რაკომენდირებული იყო თემები: მოსკოვის ადგება, ყურანის ჩაბარება, ინდუსტრიული თემატიკა — ხიდეების, გზების, ჰესების მშენებლობა, მოწინავე შრომობილი ადამიანების პორტრეტები და სხვა.

ამას მოჰყვა მივიღინებები, რამაც რამდენადმე გამოავიწყდა მხატვრული ცხოვრება (სხვათა შორის, ასეთივე თქუები დამუშავდა მწერალთა კავშირშიც და ხშირად ერთად მივიდიოდათ რაიონებში, რაც მეტ ინტერესსა და შთაგონებას აღვიქმედა).

ჩემთვის ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა მათში მეტყველებთან ახლდა და მათი ცხოვრების აცნობა.

ასევე, ძალიან მომწონდა ანდეზიტის თემატიკა... ყაზბეგში, სიონში, საერთოდ, მათში რამდენიმე სურათიც შექმენი.

ვიყავი ზესტაფონის ფერმარგანეცის ქარხანაში... სხვაგანაც, ხშირად ვგასობდი მუშებთან, გლეზებთან... ვქმნიდი მათი შრომის ამსახველ სურათებს, მათ პორტრეტულ ჩანახატებს და ყოველივე ეს გალერეაში გამოფენებზე გამოქმნიდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ახალგაზრდა თაობას მუდამ თავისი, ახალი სიტყვა მოაქვს, ჩვევია სიოამამე. უფრო იოლად ქმნის ხოლმე, მისი პრინციპები სხვაანაირია. მე, მაგალითად, მუდამ იმის მომხრე ვარ, რომ კაცმა ჩემს ასაკშიც უნდა უსმინოს ახალგაზრდა თაობას...

არ შემიძლია მაძლობის კრწმობით არ ვაგვისენო ჩემი მეგობარი იყურებელი. მთელს ამ პერიოდში ზოგი მათგანი არც თვითონ იყო უკეთეს დღეში, მაგრამ მუდამ ჩემს გვერდით იყვნენ და მათი იმედინი სიტყვა და საქმე არასაღიფის მომკლებია.

მასსთვის, ანდეზიტის სამუშაოებზე ყაზბეგში ჩემი ყოფნის დროს მწერალთა ბრიგადა ჩამოვიდა. მწერლები შეხვდნენ მუშებს, კლუბში შევიკრიბეთ. საღამო ძალიან საინტერესოდ ჩატარდა... საღს უსაზრდა პოეტებთან შეხვედრა... შემდეგ ითა ცისქვეშ გაიშალა სუფრა... ეს იყო უღაბრული დამე... იყო ლექსების კითხვა, ლექსებზე არანაკვე შთაგონებული სიტყვები, სიმღერები... და დიდი, სასვე მოვარე...

წარმოშობით მთიელი ვარ... დედაჩემიც მთიელი გახლდათ... ბევრი რამ ნაცნობი და შრომობური იყო ჩემთვის მამინაც... განსაკუთრებით ზნე-ჩვეულებები... მე იქ მასინძელივით ვიყავი.



...შემდეგ კი ყაზბეგის ანდწიტიის თემაზე ლექსებიც და-
წერა. ნარკვევებიც, მეც სურათი შეგქმენი...

როგორც ადრე, პარიზში წასვლამდე, ამ პერიოდშიც ძა-
ლზე საინტერესო სანახავი იყო თბილისი... მართალია, პო-
ეტების კაფეებს ძველებური კოლორიტი უკვე აღარ ჰქონდათ,
მაგრამ მაინც საინტერესო იყო... ეწყობოდა დისპუტები,
შეხვედრები, საღამოები, რომლებშიც ქართველებთან ერთად
რუსი მწერლებიც მონაწილეობდნენ. რუსი მწერლები, განსა-
კუთრებით პოეტები, ნათლობას თბილისში იღებდნენ. ყველას
აქეთ მოუწვევდა გული. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს
ყველა ახალი და საინტერესო იდგა თბილისში იბადებოდა...
აქ ეწყობოდა შესანიშნავი, მუდამ დაუფიწყარი პოეტური პა-
ექრობები... ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან დამამახსოვრდა
მაიაკოვსკისა და ბალმონტის საღამოები... საერთოდ, მათი
ჩამოსვლები თბილისში. მაიაკოვსკი ხომ ჩვენი მიწაწყლის
შვილი იყო, მას აქაური რა გაუკვირდებოდა, მაგრამ მახსოვს,

თავის ლექსებში... ბალმონტი ხომ რუსულ ენაზე
ტყაოსნის — მთელ ტექსტს ვგულისხმობ — პირველი მთა-
რგმნელია... მე მოწმე ვარ იმ დიდი სიხარულისა, ამ ფაქტის
გამო ქართველი პოეტები რომ განიცდიდნენ... ტიცაინმა
ლექსიც კი მიუძღვნა მას, „გვიკითხავ მთვარის, თაფლის,
მზის ლექსებსო“ — ხშირად უყვარდა ბალმონტის ლექსების
კითხვაც...

ბალმონტს 1921 წელს პარიზშიც შეეხვდი... ხშირად
მოდიოდა კაფე „როტონდაში“... საოცრად შთაბეჭდავი გა-
რგებობისა იყო და მუდამ ყურადღებას იქცევდა... სიამოვნე-
ბედა საქართველოზე საუბარი — ხშირად მეკითხებოდა ქა-
რთულ ზნე-ჩვეულებებზე, ყოვაცხოვრებაზე, ისტორიულ წარ-
სულზე, მითოლოგიაზე... ძალიან უყვარდა მხატვრობა... მუ-
დამ ვგრძნობდი მის კეთილ განწყობას ჩემდამი... ზეპირად
იცოდა რამდენიმე ქართული ლექსი და ხშირად სხვების თან-



ბალმონტი საქართველოში

ბალმონტის უადრესად თავისებური, უადრესად შთაბეჭდავი
შეხვედრები ქართველ მწერლებთან, მისი სიყვარული საქარ-
თველოსადმი, ქართული პოეტებისადმი, რომლებიც მეგობ-
რულად თავს ეხვეოდნენ... მოსწონდათ მისი ამღერებელი
პოეზია... მოგზაურობდა საქართველოს პროვინციებში, უსმე-
ნდა ქართულ საუბრებს, ეცნობოდა ზნე-ჩვეულებებს... ცდი-
ლობდა ჩასწვდომოდა ქართული ენის ბუნებას, მის სიღამა-
ზეს... ძალიან უყვარდა საქართველო... ეს კიდევ გამოხატა

დასწრებით, მომხიბვლელი არტისტიზმით წარმოსთქვამდა
სოლმე:

„იყო არაბეთს როსტევან,
ჩვეუ დვთისაგან სვიანი“...

დამსწერი გაოცებით მიუგებდნენ ყურს და ხშირად გი-
თხებოდნენ — რა ენაზე კითხულობთო... ის კი, პასუხის ნა-
ცვლად, ისევ ქართულად კითხვას განაგრძობდა და მხოლოდ

ბოლოს ეტყოდა... არსებობს ამ მიწაზე ყველაზე მომობილველი ქვეყანა — საქართველო და ასევე მომობილველი ქართული პოეზია. მუდამ მადლობის გრძნობით ვივსებოდი მის მიმართ...

ჩემი ჩამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ თბილისში სერგეი ესენინიც ჩამოვიდა... მასაც პარიზიდან ვიცნობდი... აქ კი ტიციანის საშუალებით კიდევ უფრო დავუახლოვდი... ყველას სუყვარდა, თვითონაც ბედნიერად გრძნობდა თავს... უხაროდა თბილისის ქუჩებში მარტოდმარტო სიარული. შემდეგ კი თავის შობაბედობებს გვიზიარებდა. ერთხელ, ადრე დღილით ნარიალაზე ასულა. დიდხანს მდგარა მის ნანგრევებთან. ჭა-ლაქს ჯერ ეძინა. მხოლოდ აქა-იქ ჩადგნენ გამვლელები, ახლო სოფლებიდან ჩამოსული მემწვანაილები და მემაწვნეები მიმოდიოდნენ ვიწრო ქუჩებში. შეხვედრია მზის ამოსვლას და, როგორც თვითონ ამბობდა, მოუსმენია, „როგორ იწყებს სიმღერას თბილისი“. შემდეგ ბავშვური აღფრთოვანებით ჰყვებოდა ამ შობაბედობებზე. ჰყვებოდა იეთიმ გურჯაზე, რომელთანაც ჟურნალისტ შაქრო ბუსურაშვილს მიუყვანია...

ვერის ხილს ზევით, სადაც მასინ მტკვარზე ბორანი იყო, კლდესთან ორი ვიწრო ბილიკი ადიოდა. ამ ბილიკს აყოლი-ან და მალე პატარა ქოხთან მისულან. შიგნიდან სიმღერა მო-ისმოდა. კარი გააღეს. ქოხში თითქმის ბნელოდა. პოეტის ვა-ოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ ღარიბულ გარემოც-ვაში კედელზე შოთა რუსთაველის სურათი დაუნახავს. პორტრეტი პირდაპირ კედელზე იყო მოხატული, ხოლო იქვე, თიხის ჭურჭელში იდო ორი დიდი თავიგული.

საშუალო ტანის ხანშიშესული მამაკაცი შემოეგებათ. ეს იყო იეთიმ გურჯა...

იგი სტუმრებს მიესალმა და სიმღერა განაგრძო. მის წინ სამი ახალგაზრდა იჯდა. ისინი თვალს არა აშორებდნენ მო-ხუტს და სმებს უწყობდნენ. იეთიმ გურჯა მათ თავის სიმღე-რებს ასწავლიდა. სიმღერა რომ დაამთავრეს, სტუმრები მო-რწყია და ნიხზე დასხა. უთხრეს, ეს რუსი პოეტია და შენი სიმღერის მოსასმენად მოვიდათ.

იეთიმ გურჯამა დინჯად მოისმინა... შემდეგ წამოდგა, დოქით ლვინი მოიტანა, ჩამოასხა და თქვა:

— ორი პოეტის შეხვედრა კაქუე ფოლადის დაკვესებას ჰგავს. იგი სინათლესა და სითბოს ჰბადებს. მე ცუდად ვიყო რუსული, მაგრამ პოეზიის ენა ყველგან ერთია, ჩემს ძმას ვიხივ, რაიმე წამიკითხოსო!.

ესენინი ადგა. იგი აღვლებული იყო. დიდხანს გვეყვებოდა და ბოლოს წაიკითხა კი არა, იმღერა თავისი მშვენიერი რუსული ჭი „ბულბულმა ერთი ლამაზი სიმღერა იცის...“ მასში ცო-ტა იყო ისტყვეები, იყო მხოლოდ მელიოდა ლამაზი, ნაღვლი-ანი...

იეთიმ გურჯი თავდახრილი იდგა, შემდეგ უცებ ხმა-ღლა თქვა:

— არ გვინდა სევდა. შეხედ რა კარგია ეს ცხოვრება... და გარეთ გაიხედა.

— სადაც, ქვევიდან, თბილისური ჰანგები ისმოდა და მას ღმილით უთქვამს ესენინისათვის:

— ყველა სიმღერა კარგია, თუ იგი გულის სიღრმიდან მოდის...

ამ შეხვედრის მოწმე არ ვყოფილვარ... მხოლოდ ნაამბო-ბი მოვისმინე, მაგრამ ისე ჩამჩხა ხსოვნაში, რომ უნებურად ახლაც მოვიგინე.

ქართველ პოეტებს ძალიან უყვარდათ სერგეი ესენინი. ტიციანის ზომ ბავშვივით ეფერებოდა მას!

მისთვის გოლა ლეონიძის ნაამბობი:

ერთხელ გოლას ესენინი გოლოვინის პროსპექტზე შეხე-დრია, მისალმებისთანავე ესენინს უკითხავს:

— წაიკითხე ჩემი ლექსი „ზარია ვოსტოკაში“?

— არა.

— წაიკითხე და იგრძნობ, როგორ მიყვარს საქართველო. „ზარია ვოსტოკაში“ იმ დღეს დაბეჭდილი იყო მისი ცნობილი ლექსი „აკავასია“.

ცოტა ხნის შემდეგ თბილისში ესენინის ლექსების კრებუ-ლი გამოვიდა... სახლმა მამინევი დაიტაცა იგი... ნახე, რო-გორ უყვარხარ საქართველოს, შენი წიგნი აღარსად აღარ იშოვებათ — უთქვამს გიორგი ლეონიძეს.

ესენინი ძალიან მეგობრობდა ტიციანთან.

საინტერესოა, რომ საქართველოს პოეტებისადმი მიძღე-ნილი თავისი ცნობილი ლექსის ერთი ვარიანტი, მეღნის უკონობობის გამო, მას თითოდან გამოდენილი სისხლით დაუ-წვრია და ტაყიანისათვის საჩუქრად გადაუცია. რამდენადაც ვიცი, ეს ხელნაწერი ახლაც არსებობს.

იმ პერიოდში ყველას თბილისისაკენ მოუწვევდა გული და ამაში დიდი წვლილი, სხვა პოეტებთან ერთად, ესენინსაც მიუძღვის... იგი თავის თავს ქართველი პოეტების „ჩრდი-ლოეთელ ძმას და მეგობარს“ უწოდებდა და მუდამ მათთან შეხვედრაზე ოცნებობდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სეზონების ქოშენიძახეობა

როსტომ ბეჟანიშვილი

ბერძნულმა ესთეტიკოსებმა მეტად გააბუნდუნეს და საკამათოდ აქციეს სიტყვა „ორიგინალობა“. მაგალითად, იმ კომპოზიტორის ნაწარმოები, რომელიც ნაკლებად სრულდება, თურმე, უფრო ორიგინალურია, ვიდრე ის, რომელსაც ხშირად ისმენს მსმენელი. ამ ლოგიკით, ისინი ბეთჰოვენის მესუთე სიმფონიას უფრო დაბლა აყენებენ, ვიდრე ბუზონის კონცერტს ვიოლინოსათვის, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. მათ სურთ ადამიანი და მისი გონება ყოფიერებისაგან მოწყვეტილად, დამოუკიდებლად განიხილონ, სინამდვილის შესწავლისას უკუგადონ რაციონალიზმი და ადამიანის გონება მხოლოდ საკუთარი არსებობის შესწავლამდე დაიყვანონ. „ქეშარიტების შეენობა არ შეიძლება, იგი უნდა სცნო“ — ქადაგებენ ეკზისტენციალიზმის ფუძემდებლები ჰაიდეგერი, იასპერსი, სარტრი და კამიუ.

კანტისათვის ნამდვილი ხელოვანი თუ იდეების ხელოვანი იყო და ესთეტიკური იდეა კი მხატვრული ნაწარმოების სული, სარტრი პიროვნების თავისუფლებას გადაწყვეტილებების თავისუფლებაში ხედავს და გულისტკივილით წერს: „ნამდვილად თავისუფალნი ჩვენ მხოლოდ ოკუპაციის დროს ვიყავით“. გაროდის „უნაპირო რეალიზმი“ და ფიშერის „ხელოვნების აუცილებლობა“ სხვა არაფერია, თუ არა ახალი დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს, რომ სოციალისტური რეალიზმი გვერდით არსებობს სოციალისტური კუბიზმი, სოციალისტური იმპრესიონიზმი, სოციალისტური ექსპრესიონიზმი და ა. შ., რადგან ეს უკანასკნელნი თითქოს უფრო უნივერსალური და დემოკრატიული არიან, ვიდრე „საზღვრებდადებული“ რეალიზმი.

ასეთი „უნივერსალიზმი“ ქადაგებს პიროვნების ერთდროულ „გამლას“ წარსულში, აწმყოსა და მომავალში. მაშინ ადამიანის პიროვნულობის სტატიკური თვისებებიც წინააღმდეგობა გაწევსაზღვრით, თუ გვექნება მემკვიდრეობითი მონაცემები, რომელზეც დამოკიდებულია ინდივიდუუმის ორგანიზმის აღნაგობა; მისი საკუთარი ისტორია, რომელიც ორგანიზმში გამოხატული იქნება პირობითი რეფლექსებით; გარემომცველი წრე, რომელზეც რეაგირებას ახდენს ინდივიდუუმი. ასეთი ადამიანის ყველა რეაქცია ნიველირებულია და მას ფაქტურად ორი „არხი“ რჩება გარესამყაროსთან დასაკავშირებლად. ერთი, ბუნებრივი არხი (სმენა, მხედველობა და ა. შ.), მეორე — ტექნიკური არხი (ტელეგრაფი, ფოტოგრაფია, გრამფირფიტა, მაგნიტოფონის ფირი). ნიველირებული ადამიანის „არხებში“ მოქცევა, სადაც რაიმე აზრი წინააღმდეგობის გამოიქცევა, პიროვნებას რობოტად აქცევს, ზებუნებრივი ნების უბრალო შემსრულებლად. ასეთი პიროვნება მოკლებულია საკუთარ ინიციატივას, პარალიზებულია და დროში კი აღარ ცხოვრობს, არამედ მხოლოდ სივრცეში. ასეთ დარღვეულ პიროვნებას სანაკროსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა სურს, რაც დროს, ნობრაობას, აზრს ან რაიმე ადამიანურ რეფლექსსა და ფუნქციას მოაგონებდა.

რეალისტური ხელოვნება ასეთ პოზიციას ვერ გაიზიარებს, რადგან მხატვრული ნაწარმოები, აპრიორი უნდა შეიცავდეს ახალ ესთეტიკურ ინფორმაციას, ორიგინალურ აზრს, დაკვირვებას, მიხედვას და ჩაწვდომას. ამ თვისებების გარეშე მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს და ვერც იარსებებს. მაგრამ

ესტეტიკური ინფორმაციის სიახლე არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება ნაწარმოების მოცულობას. სიახლე ნაწარმოების შინაგანი აზრის ღრებულებაზე არის დამოკიდებული. ამის დადგენა არა მხოლოდ კრიტიკის, არამედ ესთეტიკის მიხედვითაა, რადგან ღრებულება სრულებით არ არის მხოლოდ მნიშვნელობა. სიახლე განისაზღვრება არა იმით, გამოსატყვის ახალი ფორმები არის თუ არა მოძებნილი, არამედ პირველსაწყისით, აზრის, ჩანაფიქრის, შესაძლოა, ფაბულისა და სიუჟეტის სიახლეთაც. გოეთეს დებულება, რომ მხოლოდ ლიტერატურაში სულ რამდენიმე ორიგინალური სიუჟეტია — დღესაც ძალაშია. არ თქმა უნდა, აქ კლასიკური სიუჟეტები იგულისხმება და ეს არ გრცელდება იმ სიუჟეტურ სიახლეებზე, რაც ახალმა საუკუნეებმა, დიდი სოციალური ძვრების ეპოქებმა მოიტანეს.

ასეთი სიახლე მკვეთრად განსხვავებულია ნაცნობი ძველი წარმოდგენებისა და ნორმებისაგან. იგი მოულოდნელიც არის და ამდენად ორიგინალურიც. მხატვრულ ნაწარმოებში აზრი და ორიგინალობა არ შეიძლება ცალ-ცალკე იდგეს, ისინი ურთიერთგაპირობებულია, მაგრამ მათ დასადგენად ხშირად არ არსებობს ზუსტი ფორმულა და მიმართავენ ეკრისტიკულ მეთოდს. ასალი ფაქტის ან მოვლენის აღმოჩენამდე, ასევე აზრის სიახლისა და სიუჟეტის ორიგინალობის დადგენამდე მკაცრი, ლოგიკური გზით კი არ მივიდეთ, არამედ ირიბი, განსაკუთრებული მიხედვრებისა და წაიღსელების გზით.

ხელოვნების ნაწარმოების გასაგებად უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. ცალკეული ინდივიდუმი არჩევს იმ ფორმებს რაც მისი სულის რაღაც ნაწილს მოიცავს. მხატვრული ნაწარმოების გასაგებად კი იყენებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გამოცდილებით აქვს შემუშავებული. თუ ინდივიდუალური ასეთი კრიტერიუმები არ გააჩნია (პრიმიტიული ფორმით მაინც) იგი კარგავს ნაწარმოებისადმი ინტერესს და საგამოფენო დარბაზს, როგორც საგალანტერიო მატარაია, ისე ათვალღიერებს.

მხატვრულ ნაწარმოების სტრუქტურა კვიკვილენტურია მისი გამომხატველი აზრობრივი ფორმისა. აზრობრივი პრიმატი უნდა განაპირობებდეს სტრუქტურას და არა პირიქით. სიმბოლო, რიტორიკ სტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტი, საყოველთაოდ ცნობილი მოდლის მნიშვნელობა ნაწილის ასებობასაც გულისხმობს. სულიერი სიმბოლოები წმინდა სიმბოლოებით არის აგებული და არა მატერიალურად არსებული მოდელის მიხედვით.

როცა რთულ მხატვრულ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, ადამიანი თავისებურ სქემატიზაციას მიმართავს, რთულს შლის მარტივად და საკუთარი გამოცდილების მიხედვით უცნობი საგნები და მოვლენები დაჰყავს ნაცნობ და გასაგებ მოდლებდამდე. ეს ხელოვნების პროფანაციაა და, სამწუხაროდ, მასობრივ კომპონენტულშიც მის გაეყველვას პანდემიური ხასიათი აქვს.

ცნობილია, რომ 0,1 წამში ადამიანის ყურს შეუძლია მოიხსინოს 340000 ბერითი ელემენტი. ადამიანის თვალის გუ-

გას თავისი ასმილიონიანი აღქმული ელემენტით უნარი აქვს ფანტასტიკური სივრცე შეიწიოს. ამ უნართან შედარებით, დროის უშეცვლად მინაკვეთში ადამიანის აზრობრივი შერჩევის უნარი მუტად ღარბიად გამოიყურება, რაც მარტივადან რთულ ტექნიზაციით დადასტურა ჯერ არითმონეტრმა და შემდეგ ელექტრო-გამომთვლელმა მანქანამ. საშუალო ბუღალტრის მთელი დღის სამუშაოს 10 წუთში ასრულებს არითმონეტრი, ხოლო არითმონეტრის მთელი დღის სამუშაო 1 წამში ასრულებს ელექტრო-გამომთვლელი მანქანა. ანალოგია მეტისმეტად ყოფითად ნუ მოგვეჩვენება, რადგან მასობრივი მომხმარებლის მიერ მხატვრული ნაწარმოების აზრობრივი შერჩევის უნარი ძირითადად იმ საშუალო კვალიფიკაციის ბუღალტრის ინტელექტს უტოლდება. მამსადაც, მხატვრული ნაწარმოების აღქმა და მოწონება არის შერჩევა, შერჩევის კი სუბიექტის სოციალურ-კულტურული დონე და განათლება განაპირობებს.

შერჩევა თუ ხანგრძლივია ან დროში შედარებით გაწეილი, ინდივიდუალურ სამუშაოზე ეძლევა რთული სტრუქტურა დანაწევრებულად აითვისოს, მხატვრულ ნაწარმოებთან არა მხოლოდ უშუალო კონტაქტის დროს, არამედ მასთან ფიზიკური კონტაქტის შეწყვეტის შემდეგაც (წიგნის წაკითხვის ან სპექტაკლის ნახვის შემდეგ, გამოფენის დათვალიერების ან მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის შემდეგ).

კრიტიკოსები არაერთხელ უარყოფდნენ მოსაზრებას, რომ სახეობის ხელოვნების ნაწარმოების გასაგებად საჭიროა ამ ხელოვნების განხილვით და შესწავლას ტექნიკის უშუალოდ გვიჩვენებს ცოდნა. შეიძლება ეს პრინციპში მასობრივი მომხმარებლისთვის არ იყოს სავალდებულო, მაგრამ მისი სრული უარყოფა ამ შეიძლება.

ყოველი მხატვრული ფაქტი ავტონომიურია, მთავარია შევიცნოთ მისი არსი, რომელიც სრულიად არ არის მხოლოდ შესრულების ტექნიკა. ისევე როგორც, მხოლოდ მუსიკის თეორიაზე დაყრდნობით არ შეიძლება სრულყოფილად ჩავეყვდეთ მუსიკალურ ნაწარმოებს. ასეთი პოზიციის უუსუსლოდ გვიჩვენებს თვით მუსიკისმცოდნეებმა და კომპოზიტორებმა. როგორც არ გავხსენოთ აქ სტრავინსკი: „ადამიანები მუსიკაში იმას კი არ ეძებენ, რაც მის არსს შეადგენს. მათთვის მთავარია იცოდნენ, რას გამოხატავს იგი და ავტორს, როცა ქმნიდა, რა ჰქონდა მხედველობაში. მათ ვერ გასვავთ, რომ მუსიკა არის საგანი თავისთავში, დამოუკიდებლად იმისა, იგი მათ რას მთავაგონებს“.

ნაწარმოების სიუჟეტი, ცალკეული კომპონენტების თანაფარობა, პერსპექტივა, გამოსახული ობიექტების ანატომია — ყველაფერი ემსახურება სიმბოლოებს შორის კავშირს. ესთეტიკური აქცენტი გამოხატავს ავტორის სტილს, ერთ რომელიმე დომინირებულ ფერს, წერის მანერას და საერთოდ, ყველა იმ ნიშნებს, რომლებიც ამა თუ იმ შემოქმედის სპეციფიკურობას განაპირობებენ.



როგორი რთულიც არ უნდა იყოს მხატვრული სახე და როგორც არ უნდა აღსდგეს იგი მუხისხერხეაში კოდირებულ სიმბოლოთა შეწყობით თუ წყვილით აღქმით, მას მინც არ ძალუხს სინამდვილის სრული სურათი გასწავს. როგორც არ უნდა ვიცოდეთ ნაცნობი ფერწერული ტილოს ყოველი დეტალი, აზრობრივად როგორც არ უნდა ჩუსტად წარმოვიდგინოთ იგი, მინც ვერ შევქმნით უშუალოდ ბერტის ეფექტს, თუმცა ამ წარმოდგენის ექნება დამოუკიდებელი ესთეტიკური მნიშვნელობა, რადგან იგი, ასე თუ ისე, აღადგენს პირველ შერცხნებათა ზოგიერთ ნიუანსს.

ყოველგვარ ანალიზს, ვანსაკუთრებით კი მხატვრული ნაწარმოების ანალიზს უნდა შევძლოს გააერთიანოს გაფანტული ფაქტები და მოვლენები, ზოგჯერ კარგად ცნობილი და ბანალურიც. ასეთი ანალიზისას საყოველთაო შერიგებას კი არ უნდა ვისახავდეთ, არამედ დიფერენს და ხავეთოვანობა „თეორიების“ მსხვერვას. როგორც არ უნდა გავაპირტიკოთ ევრისტეკული მეთოდი, იგი მინც ჩვენს წინაშე კვლევის ფართო პანორამას შლის. იგი სამყაროს სურათს ინდივიდუუმის თვალით უყურებს და ადამიანისათვის სურათებზე ადვილს ხელშეუხებელს სტოვებს. ამას კი ხელოვნების ნაწარმოების განსაკუთრებულ პირველბარისხვანო მნიშვნელობა აქვს, რადგან ხელოვნება არსებობს არა ხელოვნებისათვის, არამედ ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

რა თქმა უნდა, დასავლეთის „თანამედროვე ხელოვნება“ საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. თანამედროვე ხელოვნების აპოლოგეტებს სწამა, რომ სიურრეალისტმა განაზოგავა და გადასახვედრა „მოძველებული“ ხელოვნება, რომელიც სიმბოლისტიკა და კუბისტიკა შექმნეს. სიურრეალისტმა მხატვრული სახეების უცნაურებითა და წრესგადასული მოულოდენელობით ცდილობს სასურველი ეფექტის მიღწევას. სურრეალისტების რწმენით, რეალურად არსებული სახეებისა და მოვლენების სახეებზე მტკედ ვეროა, ისინი უნდა გვაერთოვდეს, სინამდვილეზე „მაღალ“ დადგას და იმ ზუსტსამდვილეს დაუპირარდოს ხელოვნის წარმოსახვა. საქართველოში ასოციაცია და წიაღსვლა, დეამიწის მიზიდულობის ძალებიდან თავის დაღწევა, რათა ადამიანმა დაინახოს და იგრძნოს ის სამყარო, რომელიც ჩვეულებრივი, მიწიერი პროპორციებით იწვევს წარმოსადაგენია. ამ პრინციპით შექმნილი ნაწარმოები დამორტყუნებლ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან რეალური მოვლენების მკვეთრი დარღვევა და ადგილობრავსებლბა სხვის ყოველგვარ აზრს, ყველა დეტალს უნიჭებს უარესხას სტენოქტურად იქნას გაგებული, ესთეტიკური კონცეფციის სრული იგნორირების ხარჯზე. ეს ხელოვნებას უკარგავს მაღალ დანშიშნულებას, უსუსტესი იდეალურად და ჰარმონიოს შესამეხის უნარს, რაც ჯერ კიდევ ჰკვლავს ხელოვნების უშთაერეს მიზნად მიიჩნდა. „თანამედროვე“ ხელოვნების ამგვარ ტილოებს ამოსხნა და ამოცნობა უნდა, როგორც ქაოსურ ლაბირინთებს ან უაზროდ შედგენილ რეზუსებს. ჩაყვლიმა ხელოვნების ყველა ნაწარმოებს სჭირდება, მაგრამ ჭეშმარიტ ხელოვნებას ამოსხნა და ამოცნობა არ უნდა სჭირდებოდეს. ხელოვნებაში ყოველგვარი ნათელი უნდა იყოს, რთული იმ სიმარტივეთ. რომელიც ნიშნავს ჰარმონიასუ და ადამიანისთვის განსაკუთრებულ აზრს დამყარებულ.

ამის გასაჩვენებლად ფასადულებელი სამსახური შეიძლება გავივიოს წინადა მეცნიერულმა მეთოდოლოგიამ, რომელიც, სამწუხაროდ, ხელოვნების ნაწარმოებების ანალიზისა და შესახების დროს ძალზე ფრთხილმკვეცილია. „ფიზიკოსების“ და

„ლირიკოსების“ ერთ დროს სენსაციურობამდე მისული ფიზიკოსებისა საფუძველზე მცდარი იყო, რადგან „ფიზიკოსების“ და „ლირიკოსების“ ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა პოლუსებზე მდგარი ფენომენები კი არ არის, არამედ სამყაროს შემქმნებისა და ათვისების ერთიანი სისტემა. ხელოვნებისა და მეცნიერების კავშირი და ურთიერთდაპირობებულმა ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს, ვინაიდან ეს პრობლემა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მათ შორის კავშირი ანტიკური ხანიდან არსებობდა, უფრო მეტიც, ეს კავშირი ისეთი მჭიდრო იყო და განსხვავებისათვის იმდენად უშინშეულო დეტალებს სტოვებდა, რომ ხშირ შემთხვევაში სრულ სინთეზთანაც გვიჩნდა საქმე. ვინ იტყვის გადაჭრით, სოკრატე და პლატონი მეცნიერებში უფრო არიან, ვიდრე მწერლები. ამ განა „პოეტიკის“ ავტორი შეიძლება მხოლოდ ფილოსოფოსად იწოდებოდეს, იგი მწერალიც არის; სოფოკლე, ევრიპიდე, ესქილე მწერლები არიან, მაგრამ მათმა დრამატურებამ განა წარუშლელი კვალი არ დაინა მთელი შემდგომი აზროვნების განვითარებაზე დატყვევებულ, დღეობრივი კონცეპტის ანუ მთელი კაცობრიობის კულტურა დგას. შექაპირის ტრაგედიები, სცენური სიცოცხლის გარდა, თავისთავში განა არ მოიცავენ ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, ეთიკისა და ესთეტიკის მთელ კომპლექსს, აღმდნად ისინი მეცნიერების განვითარებასაც ემსახურებიან. ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო — აღორძინების კი ტიტანები თანაბრად იყვნენ ხელოვნების ოსტატები და დიდი მეცნიერი-მარტოვნენი. ბოლოში „ფაუსტთან“ და ბრწყინვალე ლირიკასთან ერთად შექმნა მთელი ყველა ტრაქტატების ბუნებისმეტყველების, ფიზიკის და ფილოსოფიისა. ქართული სინამდვილიან მხოლოდ რუსთაველი კმარა მეცნიერებისა და მედიცინის, პროფებისა და სახეობების იდეალურ ნიმუშად. ამიტომ, მაღალი რანგის ლიტერატურა და ხელოვნება თავისთავად გულსმომხმ მეცნიერებასთან, აზროვნების ლოგიკურ სისტემებთან მჭიდრო კონტაქტებს, ურთიერთდასახლებებსა და ურთიერთსეგავალენის შესაძლებლობას.

მეცნიერებისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირი ცივილიზაციის დღევანდელ დინეზე განსაკუთრებით მკაფიოდ შეიმჩნევა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ჩვენი ცხოვრების ფაქტია და ჩვენს თვალში ხდება. იგი, საერთოდ, როგორც რევოლუციის სწვევა, ერთი მხრივ ამსხვრევს დრომოქმულსა და მოძველებულს, მეორე მხრივ წარმოშობს ჩვენთვის დიდმდე უცნობ პრობლემებს. ხელოვნებამ არ შეიძლება საზოგადოებრივი განვითარების ამ მძლავრ ფაქტორს ანგარიში არ გაუწიოს და მისი სიახლეებისადმი თავისი დამოკიდებულება არ გამოამყდავნოს.

ყველა დიდი გამოგონება, იქნება ეს ურბის ბორბალი თუ ატომური ძრავა, ახალ სისწრაფებს ქმნის. იცვლება სივრცეში გადაადგილების ტემპები, კულტურულ ფასეულობათა დავროვნების ტემპები, ანალიტიკური აზროვნების ხარისხი. ცეცხლის განჩენიდან პირველი ორთქლის ძრავის აგებამდე მილიონი წელი გავდა, ორთქლის ძრავიდან ატომურ რეაქტორამდე კი უკვე 150 წელიწადი. ენერჯის წყარო განსაზღვრავს პროგრესს, იალქნაინი ხომალდების და ატომური წყალქვეშა ნავების აგებას სხვადასხვა ინტელექტუალურ სტრუქტურა. მათ შორის კოლმასალური განსხვავება კაცობრიობის განვითარების რევოლუციური პროცესის მანქანებელია, სადაც განჩენება ნიშნავს დაღუპვას და მოძველებულის მსხვერვა არის წინსვლის ერთ-



თადრთი გზა. ეს პროცესი განსაკუთრებული სიძვირით გა-
მოიყვება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში,
რომელიც სულ მეოთხედ საუკუნეს თვლის. ამ მეოთხედმა
საუკუნემ კაცობრივმა ისეთი აღმოჩენების წინაშე დაა-
ყენა და მსოფლიო ახლო მომავალში კვლავ ისეთი კო-
ლოსალური გადატრიალებების მოწვევას გახდის, რომელიც
მსგავსი არ იყოს ისტორიამ. განვითარების ტემპების ასეთი
სწრაფი ზრდა ყველა სასოფაღობოებზე პროცესზე მოხადუნს
ცალუნებას, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ახალ კონფლიქტებს.
თუ თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა მათგანის წინასწარმეტ-
ყველი ან გათვალისწინება, მაგრამ იმის ცოდნაც საკმარისია,
რომ ადამიანის ფიზიო-ფსიქოლოგიური კომპლექსი თითქმის
უცვლელი რჩება და მისი შეგუება ცხოვრების ელვისებური
ცვლილებებისადმი სულ უფრო მტკივნეულია. ჩვენი შეგუება გა-
ნასაზღვრად საზღვრებში ყოველთვის წარსულ ემყარება და
როცა ეს წარსული ჩვენს თვალწინ კალიდოსკოპური სისწრა-
ფით იცვლება, საჭირო ხდება ადამიანის ფსიქიკის მრავალჯნის
„გადაბრუნება“ და „გადაწყობა“.

ბუნებრივია, შეწვეული ყოფის და შეხედულებების ასეთი
სწრაფი ცვლა ახალ მოთხოვნებებს უყენებს ხელოვნების,
რომელიც თავისი მასშტაბებით და აზროვნების ხარისხით
ჯერ კიდევ საერთაშორეოდ ჩამორჩება ცხოვრების განვითარე-
ბის ტემპს. საკვალალო ეს ჩამორჩენა კი არ არის, რადგან ადა-
მიანის შეხედულებები და შესაბამისად მისი დამოკიდებულება
ხელოვნებისადმი არ შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური რე-
ვოლუციის ტემპების ეკვივალენტური იყოს, არამედ ზოგიერთია
ხელოვანის სრული ინდიფერენტობა ამ რევოლუციისადმი.

მეცნიერების პროგრესი განპირობებულია ამ მარტო სასოფა-
ღობოები დღლიათის ზრდას, არამედ სუბიექტურ ფასეულობა-
თა კიდევ უფრო მომჭირნობით ხარჯვას. ხელოვნების ამოცა-
ნა რთულდება, რადგან ცხოვრება დღითიდღე სპობს ციტა-
დლებებს ილუსტრირებისათვის და ხელოვანს აძიებულობს მოვ-
ლენების არის ჩაწვდეს. მაგალითად, თანამედროვე ადამიანი
ფერწერულ ტილოზე ურბანისტიული პეიზაჟი კი არ გააკვებს
(რადგან მას ცხოვრებაში მტკი საოცრება უნახავს ან თვით
არის მისი შემოქმედი), არამედ ადამიანის დამოკიდებულება.
ამ ახალი ტექნიკისადმი, ადამიანის ბატონობა ამ ტექნიკაში.
ეს მაგალითი შემხმევევით არ მოვიტანეთ. სულ ორი-სამი ათე-
ული წლის წინ, ჩვენი ცხოვრების ინდუსტრიალურ პეიზაჟად
საემარის იყო ტილოზე მაღალი ძაბვის გადამცემი ჰოვსი გა-
მოგვება და ამ მიღწევით აღტაცებული დაფრჩხილიყავითა.
ხელოვნებისათვის, თავისთავად, მაღლივი უნებობა და ღრმა
შახტები კი არ არის საინტერესო, რადგან უფრო მაღლივი შე-
ნობები და უფრო ღრმა შახტები დღემოწინა ყველა კონტრინე-
ტურა, არამედ ადამიანის დამოკიდებულება მათადმი. ამ და-
მოკიდებულების გამოსახატვად კი აუცილებელი არ არის
ადამიანი უსათუოდ მათ ფონზე დასვატო.

სასოფაღობოები ყოფის, თანამედროვე პეიზაჟის და ადამი-
ანის ფსიქიკის ცვლაში ხელოვნება ერთგვარი ამორტიზატო-
რის როლს ასრულებს. ხელოვნება დამაკავშირებელ ხილდეს
დღეს სტილოური ცვლილების სწრაფ რიტმსა და პროგრესი-
ბის ფსიქიკური გარდაქმნის ნელ რიტმს შორის, რათა ადამი-
ანმა უშუალო და პაუზაწინად არ იფრწონს თავი, ქედი არ მოი-
ხაროს ტექნიკის ტოტალური აღზეობის წინაშე და ნორმალური
არ ცხოვრება ტექნიკურად არ აქციოს. ხელოვნება ანებებს
უკუდარტყმებს, გვარყვებს ცვლილებათა სიმკვეთრეს, სათუთად,
თავგაუკავებელი ნაღვლით გვათმობინებს ძველსა და შეწვე-

ულს, და, რაც მთავარია, კრიტიკულად ჩაგვხედებს საკუთარ
სულში, იუმორს შეუძნეველად იოხინად გადააქცევს მათგანს
ნტიკენული არ იყოს ძველის ადამიანის და ახლის შეგუება.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ კი არ დააინა-
ხელოვნება, არამედ უფრო გაზარდა და გაართულა მისი ამო-
ცანა ინდივიდუუმის პიროვნებად ქცევის კეთილშობილურ საქ-
მეში. ხელოვნება დღეს თვით მეცნიერებაზე ახდენს გავლენას
და გარკვეული აზრით ხელს უწყობს მისი ტექნიკის ზრდას.
ფემხხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ აინტეგრის მოცარტის
მუსიკის სრულყოფილება მთავარად მაუსაბობის დროს. სა-
კითხი ეტება მეცნიერულისა და მხატვრულის, ლეოვარდისა
და წარმოსახვითის ფარდობით ცვლილებებს, რადგან აზროვნე-
ბის ეს ორი მხარე ჩვენს შეგნებაში ყოველთვის ერთმანეთს ავ-
სებად. ანტიკურ ადამიანს რისი გავგებაც თავისი ინტელექტით
არ შეეძლო, ცდილობდა მითვისებ, მხატვრული მიზნებისათვის
წყალბობით შეეცო. ასე შეიქმნა მითი იკაროსზე, პოსიდონზე,
პერკულესზე, რადგან ანტიკურმა ადამიანმა არ იცოდა აერო-
დინამიკის, წყალქვეშ ჩასვლის, ბუნების საიდუმლოების შეც-
ნობის და ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობის მაქსიმუმი,
თუმცა მათი შეგნობის გზებს ინტელექტუალ ხელდაედა. ხელო-
ვნება ეხმარებოდა ანტიკური ეპოქის ადამიანს, რადგან იმ
დროს მხატვრული წარმოსახვა წინ უსწრებდა ინტელექტუალ
პრაქტიკულ შესაძლებლობებს. დღეს შეფარდებები იძენდა
სუიცვალა, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი ფიზიკოსის
დადასაუეს თქმით, თანამედროვე ფიზიკაში ადამიანის ისეთი რა-
მეს შეგნობა შეუძლია, რომლის წარმოდგენაშიც კი შეუძლებე-
ლია. მეცნიერული პროგრესი თავისი პრაქტიკული შედეგე-
ბით ხელოვნების ყველაზე თამამ წარმოსახვას აჭირბობს. მეცნი-
ერება „შემოიტარა“ ხელოვნების „საფერისბოლოში“ და მხატ-
ვრულ წარმოსახვას დაუწინასძირა ბუნების საიდუმლოებათა
ამოცნობის ფაქტსტატეური უნარი. ასეთ ვითარებაში, დღის
წესრიგში დგება „ფუაქსისი“ და „ხელშეუხებელი“ მხატვ-
რული წარმოსახვის ერთგვარი „მოდერნიზაციის“ საკითხი,
რათა ხელოვნების მიგნებები ანაქრონიზმად არ გამოინდეს
მეცნიერების, და, შესაბამისად, ცხოვრებაში პრაქტიკულად
განხორციელებული მოვლენებთან შედარებით.ხელოვნებამ უნ-
და მოგვეცა არა ცოდნის ამ, თუ იმ დარგის მოღვაწის გარკე-
ნული პორტრეტი, არამედ ახალი ტიპის ადამიანის, მოზ-
როვნე ადამიანის ხასიათი, რომელმაც თავის განვითარებდებთან
შედარებით გაცილებით მტკი იყოს და გაცილებით მტკის
გაკეთება შეუძლია. აქ ერთგვარი ისტორიზმა საჭირო, არა
ახლო და შორეული ეპოქის მიმართ, არამედ ადამიანის არე-
ბობის, როგორც ფილოსოფიური პრობლემის ასპექტივად და-
ნახული. ხელოვნებამ უნდა დაგვიზოტოს ამ ადამიანის სახე,
რომელიც თვისობრივად განსხვავებულნი არიან, დღევანდელ
ადამიანებში არიან და კონკრის თვალთი უკვე მომავალ სა-
კუუნეში იქმნებიან. ეს ადამიანი ფუჭი მეოცნებე და ფანტა-
ზიორი კი არ არის, იგი შეიარაღებულია კაცობრიობის მთელი
ისტორიის ცოდნით, მის განკარგულებაშია კოილიზაციის
ყველა მონაპოვარი, მან იცის თავისი პოტენციური ძალა,
იყის ჯერ კიდევ რის გაცეობა არ შეუძლია, მაგრამ მისი მაძი-
ებელი სული, მისი დაუმრეტელი გონება თამამად ეჭიდება
ყველა სიმძლავრეს, რადგან მათი დაღვლეის ახსოვლტური რწმე-
ნა აქვს. ეს რწმენა აკეთილშობილებს მის სასეს, კონკრის
შუქა ფენს მიიღებს განვითარების, სადაც წინა პლანზე გლო-
ბითური ტორისი ან პერკალესეული მუსკულატურა კი არ არის,
არამედ ღრმა და დახვეწილი ინტელექტი. ასეთია დღევანდე-

ლი ადამიანი და მისი არღანახვა ხელოვნების მიუტევებელი შეცდომაა.

მეცნიერების გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეინიშნება. ამ გავლენის დადებითი მხარეა რაციონალიზმი ყოველგვარი გადაწყვეტილებების მიღების დროს, ხოლო უარყოფითი მხარეა პრაგმატიკული ტენდენციების გამოვლენა. ეს უკანასკნელი ადამიანის მიერ სამყაროს აღქმას ემუქრება წაართვას უშუალობა, უღიმღამო, ერთფეროვანი გახადოს ცოცხალი განცდების მოზაიკა, ლოგიკურ კატეგორიებში ჩასტიოს ემოციები, ადამიანის არსებობას წარსტაცოს სიცოცხლის სიხარულის შეგრძნება და დაიყვანოს იგი დაპროგრამებული აზროვნების შესრულებამდე, აქ ჩვენ მხსნელად ისევ ხელოვნება გვევლინება, რომელმაც რთული და ზოგადი ცხოვრებისეული მოვლენები და ფაქტები, სახიერ, მხატვრულად გააზრებულ ცოცხალ განცდებამ უნდა გადააქციოს, რათა ადამიანი არ აღმორჩნდეს იმ ფაქტების, მოვლენების, აღმოჩენების, ტექნიკური მოდერნიზაციის ტყვეობაში და შეინარჩუნოს პირველსაწყისის ყველა პრივილეგია.

ყოველივე ამის გასარკვევად ხელოვნებას ახალი კრიტერიუმები სჭირდება, რომელთა შემუშავება მეცნიერული მიღწევების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა ხელოვნებას ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ა. შ. მხოლოდ ტერმინები ესესია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს. მაგრამ უფრო მეტი გულუბრყვილობა და საზიანო იქნებოდა, ხელოვნების ნაწარმოების შეფასება დარჩენილიყო ძველი წარმოდგენების და ძველი მასშტაბების ტყვეობაში. ცალკეული პიროვნული სიმბოლოები არ ამაღლებენ ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულობას. იგნორირების და მიჩქმალვის გზაც არავითარ სიკეთეს არ მოუტანს ხელოვნებას. საჭიროა შედარებით ობიექტური კრიტერიუმების გამოძებნა, ერთი შეხედვით, ტრადიციული და განმარტებული საკითხების ტემშარიტი რაობის დასადგენად. მაგალითად, რა არის ნამდვილი ხელოვნება და რითი გავსოთ მისი მხატვრულობის ხარისხი? აქ ყველა ზერულე პასხი დამუშაველია, რადგან არსებობს ამ საკითხის ობიექტური არბიტრაჟი—დრო. დრო ყველაფერს თავის ადგილს ბიუჩენსო, ამბობენ ხშირად და პასიური მჭკრეტლის პოხას ეფარებთან. მაგრამ დრო არ არის აბსტრაქტულად არსებული ფენომენი. დრო იქნება ჩვენი აქტიური ჩარევით, ჩვენი მიზანსწრაფვით, როცა პროგრესული და ობიექტური თანაბარი მნიშვნელობის ცნებებია.

აკვუჩ მიღეჩი

პირმმალდ რომ დიადგა ეს პიესა ამერიკოს მერტებელი შტატების ერთ-ერთი თეატრის სცენაზე, მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი ჯერ ისევ ცოცხალი მოგონება იყო თვით ამერიკელი ხალხისათვისაც კი, რომელსაც ომის მიუეპითი სიმძიმე და სისასტიკე უშუალოდ არ განეცადა და არ გადაეგანა. მაყურებელს ჯერ ისევ ყურში ედგა საფრნოტო თვითმფრინავების სულისშემძვრელი გუგუნი. მოქმედი ფრნტებიდან დაბრუნებული, აწ უკვე დემობილიზებული ამერიკელი ჯარისკაცები მაყურებელთა დარბაზში ისხდნენ და მათი იქ ყოფნა სიმწვავეს მატებდა სცენაზე მომხდარ მღელვარე ამბებს — ისინი თითქოს მოწმეობდნენ მიიწვიეს იმ მკაცრ სამსჯავროზე, რომელიც კი არ გაუთამაშნიათ სცენაზე, ადამიანთა სულში ხდება... თითქოს მოწმეობდა მოიწვიეს, მაგრამ სინამდვილეში მრისხანე ბრალმდებლები გამოვიდნენ — უპატისონობისა, ცინიზმისა, გულგრილობისა, მომხვეჭელობისა, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი და ანტიპატრიოტული მოქმედებისა... სწორედ სოციალური და საზოგადოებრივი ჟღერადობის წყალობით სექტაკალს დიდი წარმატება ხვდა, ხოლო პიესის უცნობმა ავტორმა — მანამდე უფერულმა და უმნიშვნელო ჟურნალისტმა და მწერალმა — ერთბაშად დიდი პოპულარობა მოიპოვა და პირველხარისხოვან ამერიკულ დრამატურგად იქცა. ამ პიესამ მოუტანა არტურ მილერს თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი დრამატურგის სახელი.

ყველა ჩემი შვილია

ინგლისურიდან თარგმნა ჰასბანაჰ პალიძემ.

დრამატურგი მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი პიესა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებად კი არ აღიქვას მაყურებელმა, არამედ ნამდვილ ცხოვრებად მიიღოს. ყოველი თეატრალური წარმოდგენა თავისებურად გადავიშლის და გვაჩვენებს ადამიანის ურთიერთობას საზოგადოების მიმართ და საზოგადოებისას — ისტორიის მიმართ, — წერს თვით არტურ მილერი. და იქვე: თეატრი მუდამ იმ იდეების გამომხატველია, რითაც თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს და სულდგმულობს... ჩემი პიესები იმ იდეებს ეხმარებიან, რითაც პაერია გაქვდითილი, და ვცდილობ, მივთხველი ვაიჟულო იმას მიხვდეს, რისი გარეგანაც ან ვერ მოუხერხებია ან არ მოუსურვებია.

არტურ მილერი მართლაც არ ერიდება მწვავედ, სოციალური სიმახვილით წამოჭრას თავის პიესებში სადღესო მტკივნეული პრობლემები და მისი დიდი პოპულარობაც ამით აიხსნება. მილერის პიესები იდგმება თითქმის მთელ მსოფლიოში. ქართული მაყურებელი იცნობს მის საინტერესო პიესას „სეილემის პროცესს“, რომელიც წარმატებით გადაიდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე და რომელიც აგრეთვე ცხოვრებისეული სიღრმით, პრობლემების აქტუალობით, სოციალური სიმახვილით გამოირჩეოდა. მილერის სხვა პიესებიც დადგმულა საბჭოთა თეატრების სცენაზე.

ახლა კი ისევ იმ პიესას დავუბრუნდეთ, რომელიც ჩვენს ჟურნალში იბეჭდება.

